ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

gfhfcrtdb7 @* ctmntv,thb7 @)!@ 1231 (5921) afcb5 #) stshb

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დღეს წინასაარჩევნო შეკრებას გამართავს

გვ. 10

# ქვანიას სიკვდილთან დაკავშირებით კომპრომატების გამოქვეყნება იგეგმება?

ყოფილი პრემიერის დედა თავისი შვილის მეგობრებს მიმართავს

გვ. 2



## ბიძინა ივანიშვილი: ხელისუფლებამ ჩემი დაცვის წევრი დააშინა!“

გვ. 3



ვინ და რატომ გამოაქვეყნა ფარული ჩანაწერები

## უფლებათადამცველები ხელისუფლებას საყვედურობენ

გვ. 2



მეტეხის ხიდზე პატრიარქმა პარაკლისი გადაიხადა

გვ. 4



## გია ყარყარაშვილი: ხელისუფლება ომში დაღუპულების მშობლებს არ უნდა ემალებოდეს!“

გვ. 2

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველო მუდმივად დგება ფერფლიდან, რამდენჯერაც არ უნდა სცადონ მისი ნაქცევა“

გვ. 6



გვ. 4



## ეკა ბესელია: ხელისუფლება ხელს უშლის არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას!“

## სანდრო ბრეგაძე: მთელი საქართველო ჯოჯოხეთს დაემსგავსა“

გვ. 6



21 სექტემბრიდან

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4

+

პჯ,ტპნ აბიტპბ

* კფპბ




ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 ირაკლი ალასანია: მიხეილ სააკაშვილი გაეროში სიტყვით ცარიელ დარბაზში გამოვიდა“

6 გიორგი თარგამაძე: ინგა გრიგოლია ჩვენს გუნდში რჩება“

4 გია ხუხაშვილი: გიგა ბოკერია რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ევროპაში შეხვდა“

7 ახალგაზრდები ძალადობას გმობენ

# გია ყარყარაშვილი: ხელისუფლება ომში დაღუპულების მშობლებს არ უნდა ემალებოდეს!“

ნათია ხურცილავა

**სოხუმის დაცემიდან 19 წელი შესრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გმირთა მემორიალთან აფხაზეთში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს. საქართველოს მართლმადიდებლურ ტაძრებში კი აფხაზეთში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.**



დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალს ხელისუფლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ლიდერები, რიგითი მოქალაქეები გვირგვინებით ამკობდნენ.

აფხაზეთში ომი 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემითა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა. სოხუმისთვის ბრძოლა 11 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. აფხაზურ-რუსულმა, ჩრდილოკავკასიელთა და კაზაკთა შენაერთებმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაზე შტურმი 27 სექტემბერს დილიდანვე მიიტანეს და ტყვედ აიყვანეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა, ქალაქ სოხუმის მერი გურამ გაბესკირია და მინისტრთა საბჭოს 27 თანამშრომელი და შემდეგ ყველა დახვრიტეს.

რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა მდინარე ენგურის გასწვრივ პოზიციები 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს.

**ნელი ქარდავა, აფხაზეთში დაღუპული გმირის დედა:**

– 19 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი სამშობლოს მთლიანობას შეეწირა. რა გითხრათ, შვილო, სულ პატარა ბიჭი იყო, ომში რომ წავიდა. 20 წელი შეუსრულდა და გამომიცხადა, სამშობლო უნდა დავიცვაო. სოხუმში, ჭამბას ქუჩაზე ჭურვები ფეთქდებოდა, მთელი სახლები თავზე გვენგრეოდა, მერე ეს ბავშვები ომში წავიდნენ იმ იმედით, რომ სახლს, ქალაქს, სამშობლოს გადაარჩენდნენ, მაგრამ ვაი, რომ ვერც სამშობლო გადაარჩინეს და ვერც ჩემი შვილი დამიბრუნდა უკან. ამ საშინელების შემყურეს რა უნდა მექნა, მაგრამ დღემდე მაინც ცოცხალი ვარ. ცოცხალი ვარ, რომ ჩემი შვილის სახელი და ხსოვნა არ დავკარგო. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, დამთავრდა ცხოვრებაც და სიხარულიც, მაგრამ ეს არის, რომ ადამიანი თავს ვერ მოიკლავ.

**ნანა ნადარეიშვილი, აფხაზეთიდან დევნილი:**

– 19 წელმა ისე გაიარა, რომ ასე მგონია, ეს ყველაფერი გუშინ იყო. თითქოს გუშინ მოხდა ის საშინელება, რომელსაც ომი ჰქვია. თითქოს ამდენი წლის მერე რაღაცნაირად უნდა მოშუშდეს ეს ჭრილობა, მაგრამ ვერა, იმდენად ღრმაა, იმდენად მტკივნეულია, რომ სულსა და ხორცს ერთიანად ძრავს. რომელი ერთი ვთქვა, ადამიანების სიცოცხლე, ამდენი ახალგაზრდა თუ ხანშიშესული. ომი თავისი ყველა უსასტიკესი მეთოდით იყო დიდი ტრაგედია, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოება დიდხანს, ალბათ, ვერ მოიშუშებს.

*– გაქვთ აფხაზებთან ურთიერთობა?*

– მაქვს, ახლა ისინი ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ შეიძლება მტერსაც არ ვუსურვო.

*– რატომ?*

– იმიტომ, რომ აფხაზები ნელ-ნელა ქრებიან აფხაზეთიდან და მათ ადგილს რუსები იკავებენ. აფხაზები რუსებმა მოატყუეს, თან ისე მწარედ მოატყუეს, რომ შეუძლებელია, არ შეგეცოდოს ადამიანს. ახლა თვითონ აფხაზები ამბობენ, გაქრობა გვემუქრებაო. ერთმანეთში დიდი დაპირისპირებებიც არის, მაგრამ აქამდე რუსეთი ახერხებს, რომ მიჩქმალოს.

გმირთა მემორიალთან გენერალმა გია ყარყარაშვილმა დაღუპულ გმირებს პატივი მიაგო და განაცხადა, რომ გმირთა მემორიალთან ხელისუფლება ქურდულად, წინა ღამეს მოიპარა, მგლოვიარე დედებს რომ არ შეხვედროდა.

– 18 წელია ვარ ჭირისუფალი და ამ მემორიალთან დავდივარ შვილმკვდარი დედების გასამხნევებლად და მათი შვილებისათვის პატივის მისაგებად. ეს ძალიან მტკივნეულია ჩემთვის. მე კი არ უნდა ვუშუშებდე ტკივილს მათ დედებს, ხელისუფლება უნდა მოდიოდეს დღის შუქზე და ის უნდა ამხნევებდეს მათ. ხელისუფლება გმირთა მემორიალთან ქურდულად წინა ღამეს მოიპარა, მგლოვიარე დედებს რომ არ შეხვედროდა. დღეს არის სოხუმის დაცემის დღე, დღეს არის გლოვის დღე. ისევ ჩვენ დავრჩით ერთმანეთის ჭირისუფლად. დღეს სჭირდებათ დედებს მისამძიმრება, გამხნევება და მოფერება. როცა დედები მოდიან, მაშინ უნდა მობრძანდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, – განაცხადა გია ყარყარაშვილმა.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიამ, აფხაზეთის მთავრობის წევრებმა და აფხაზეთიდან დევნილმა საზოგადოებამ სოხუმის დაცემის მე-19 წელი საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან აღნიშნეს.

– 27 სექტემბერი ტრაგიკული და მტკივნეული დღეა ქართველი ერის ისტორიაში. ომმა აფხაზეთში უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მე მინდა, კიდევ ერთხელ ქედი მოვიხარო საქართველოს უახლესი ისტორიის ჭეშმარიტი გმირების წინაშე, რომლებმაც თავი გაწირეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. თითოეული ჩვენგანის ვალია, ბოლომდე მივიყვანოთ ის საქმე, რომელსაც ეს გმირები შეეწირნენ და მივაღწიოთ მიზანს, რომელსაც გაერთიანებული საქართველო, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო ჰქვია, – განაცხადა გიორგი ბარამიამ.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, 19 წლის შემდეგ ურთიერთობები უფრო დამძიმებულია.

– ტრაგიკულია, რომ 19 წლის შემდეგ არათუ უკეთეს მდგომარეობაში ვართ შერიგების კონფლიქტის დარეგულირების კუთხით, არამედ, კიდევ უფრო გაღრმავდა ჩატეხილი ხიდი როგორც აფხაზებსა და ქართველებს, ასევე ოსებსა და ქართველებს შორის, – განაცხადა გმირთა მემორიალთან მისულმა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

– მე ღრმად მწამს, რომ გვეყოფა გონიერება ყველას და აუცილებლად შევძლებთ იმ უბედურების გამოსწორებას, რომელიც თავს დაგვატყდა, შევძლებთ, რომ სხვადასხვა მხარეს დაღუპულთა ოჯახები აღარასოდეს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და შეძლებენ ერთმანეთის პატიებასა და ერთად თანაცხოვრებას, – ამბობს ბურჯანაძე.

# უფლებათადამცველები ხელისუფლებას საყვედურობენ

**ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში განხორციელებულ დაკავებებს ეხება, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ჰუმან რაითს ვოჩი ეხმაურება. თავის ანგარიშში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევაში ადანაშაულებს.**

ნათია ხურცილავა

– პოლიტიკური აქტივისტებისა და მომიტინგეთა მიმართ ადმინისტრაციული დაკავების წესის ბოროტად გამოყენებით საქართველო საერთაშორისო ვალდებულებას არღვევს, აღკვეთოს თვითნებური დაკავების შემთხვევები, – ამის შესახებ ნათქვამია ჰუმან რაითს ვოჩის ანგარიშში.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ხელისუფლებას ზომების მიღებისკენ მოუწოდებს.

– მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები თითოეული დაკავებულის საპროცესო უფლებების დასაცავად და უზრუნველყოს, რომ თითოეული საქმე, მიუხედავად მისი კრიმინალური თუ ადმინისტრაციული ხასიათისა, გარჩეულ იქნეს კანონიერი სასამართლო პროცესის პირობებში. თითოეულ დაკავებულს აქვს უფლება, მოითხოვოს საკუთარი საქმის გარჩევა და საკუთარი უფლებების პატივისცემა დაკავების პერიოდში, – განაცხადა ჰუმან რაითს ვოჩის უფროსმა ექსპერტმა ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში გიორგი გოგიამ.

ანგარიშის მიხედვით, წვრილმანი დანაშაული არ კვალიფიცირდება ნასამართლეობად, მაგრამ მასზე დაწესებული სასჯელი ითვალისწინებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო (წვრილმანი დანაშაულის გამო) დაკავებულს შეიძლება შეეფარდოს 90 დღით პატიმრობა, მაგრამ კოდექსი არ იძლევა ადეკვატურ ინსტრუქციებს დაკავებულთა საპროცესო უფლებების შესახებ, რაც ხშირად იწვევს თვითნებური დაკავების ფაქტებს. კოდექსი არ ავალდებულებს პოლიციას, მოახდინოს დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ. უკანასკნელ ხანებში დაკავებულთა რამდენიმე ადვოკატმა ჰუმან რაითს ვოჩს განუცხადა, რომ მათი კლიენტების სასამართლო პროცესები ჩატარდა ზერელედ და მოსამართლეებმა დაცვის მხარეს არ მისცეს მოწმეთა გამოძახებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის უფლება, – ნათქვამია დოკუმენტში.

ანგარიშის თანახმად, თითოეულ დაკავებულს აქვს უფლება სათანადო სასამართლო პროცესისა და სათანადო დაცვისა, „პროცესი არ უნდა წარმოადგენდეს უქმად გატარებულ დროს ოქმზე ბეჭდის დარტყმამდე“, შესაბამისმა ორგანოებმა სწრაფად და ეფექტიანად უნდა გამოიძიონ წინასწარი დაკავებისას პატიმართა მიმართ ჩადენილი არასწორი მოპყრობის ნებისმიერი ფაქტები და განცხადებები ასეთი ფაქტების შესახებ.

– პოლიციას აქვს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და დააპატიმროს ნებისმიერი პირი, რომელიც ამ წესრიგის დარღვევას შეეცდება, მაგრამ უნდა არსებობდეს თვითნებური დაკავების თავიდან აცილების მექანიზმები. არსებული სამართლებრივი ჩარჩო და სასამართლო არ უზრუნველყოფს დაკავებულთა სათანადო დაცვას. შესაბამისად, აუცილებელია, მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, – აღნიშნულია ანგარიშში.

# ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით კომპრომატების გამოქვეყნება იგეგმება?

## ყოფილი პრემიერის დედა თავისი შვილის მეგობრებს მიმართავს

თეა მარხვაიძე

კომპრომატების ქარიშხალგადავლილი საქართველო კვლავ კომპრომატების მოლოდინშია. ამბობენ, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ამ დღეებში ერთმანეთის წინააღმდეგ მომაკვდინებელ კომპრომატებს დადებენ.

თბილისში უკვე დიდი ხანია ამბობენ, რომ მალე გავრცელდება ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან არის კავშირში.

ყოფილი პრემიერი ზურაბ ჟვანია 2005 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ის გამათბობელმა „ნიკალამ“ იმსხვერპლა. ამ ვერსიის არავის სჯერა, მათ შორის, არც ოჯახის წევრებს.

გარდაცვლილ ჟვანიას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც ჩაუტარდა. ძალიან მალე გაურკვეველ და საეჭვო ვითარებაში კლავენ ლევან სამხარაულს. ეს უკანასკნელი იმ ბიუროს ხელმძღვანელი იყო, სადაც ჟვანიას ექსპერტიზა ჩაუტარდა.

პოლიტიკოსებს არაერთხელ უთქვამთ, რომ არსებობს ვიდეო და აუდიოჩანაწერები, რომლითაც ჟვანიას სიკვდილზე ბევრი რამის გაგება შეიძლება.

რამდენიმე წლის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში თემურ შაშიაშვილმა დაადასტურა ეს ინფორმაცია. მისი თქმით, ამ ჩანაწერების რამდენიმე ასლი არსებობს და ისინი საზღვარგარეთ ინახება. შაშიაშვილს არ დაუკონკრეტებია, სად და ვისთან ინახება ეს ჩანაწერები. შესაძლოა, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ამ ჩანაწერებთან დაკავშირებით მან ინტერვიუები სხვა გამოცემებსაც მისცა. ცოტა ხანში საზღვარგარეთ წავიდა. ვიღაცამ ხმა დააგდო, შაშიაშვილს ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებული ჩანაწერები ჩამოაქვსო.

თბილისში დაბრუნებული „თეთრების“ ლიდერი თავიდან ფეხებამდე გაჩხრიკეს. მას ჩანაწერი არ აღმოაჩნდა.

ისე, რა უცნაურია ჩვენი ხელისუფლება, თუ სკაიპით ქურდად კურთხევა შეიძლება, ჩანაწერებს კასეტითა და დისკით თან ვინ წამოიღებს.

არსებობს თუ არა ასეთი ჩანაწერები, ზუსტად დადგენილი არ არის. ამაზე მისი ოჯახი დაზუსტებით არ საუბრობს, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაცა მართლაც არსებობს და, როგორც ამბობენ, ამ რაღაცის ხელისუფლებას ძალიან ეშინია.

ამ კვირაში ამ ჩანაწერებზე ისევ ალაპარაკდნენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა ივანიშვილი: ხელისუფლებამ ჩემი დაცვის წევრი დააშინა!“

## ვინ და რატომ გამოაქვეყნა ფარული ჩანაწერები

თეა მარხვაიძე



> საქართველოში კომპრომატების ომის ახალი ტალღა დაიწყო. ჩვენ ბევრი გვინახავს და გაგვიგონია, ბევრი კომპრომატის ფრიალის მომსწრენიც ვყოფილვართ, მაგრამ წლევანდელი კომპრომატები სულ სხვაა.

როგორც წესი, კომპრომატებს ხელისუფლება აფრიალებს ხოლმე. ამჯერად ამ საქმეში ხელისუფლებას ოპოზიციამაც აჯობა. წინა კვირაში ტელევიზიით გავრცელდა კადრები, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა. ციხეში არსებული ვითარების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ ქვეყანა ჯერაც ვერ გამოდის შოკიდან.

ყველამ იცოდა, რომ ხელისუფლება ამ დარტყმას უპასუხოდ არ დატოვებდა. ამ დღეებში მრავალი ფირი აგვიფრიალეს. ხან გოგა ხაინდრავა და ქურდები ქმნიან ვითომ ნეომხედრიონს და ხანაც სკაიპით ნათლავენ ვიღაც ქურდებს.

ამის გამო ხელისუფლება აღშფოთდა და გადაირია. არიქა, წარსულში გვაბრუნებენო. ოპოზიცია სიცილით მოკვდა კინაღამ. საუბარია ოცნებაზე, თორემ ქდმ და ახალი მემარჯვენეები მდუმარედ უსმენენ ამ ყველაფერს.

ერისა და ოპოზიციის ჟრიამული გუშინ უნდა გენახათ. ბიძინა ივანიშვილის პირადმა მცველმა ხელისუფლებას აუდიოჩანაწერები უფეშქაშა. ამ აუდიოჩანაწერების გაკეთება, პირადი მცველის თქმით, მას თავად ივანიშვილმა დაავალა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ით კოალიცია ,,ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილის პირადი მცველის ბესო სურმავას მიერ ჩაწერილი აუდიომასალა გავრცელდა.

ჩანაწერის მიხედვით, სურმავა მიმართვასაც ავრცელებს და აცხადებს, რომ ის ივანიშვილის დაცვის წევრია და საზოგადოებამ კოალიციის შესახებ სიმართლე უნდა იცოდეს.

როგორც სურმავა მიმართვაში ამბობს, უსაფრთხოების სამსახურს პირადად ივანიშვილისგან ჰქონდა დავალებული, კოალიციის წევრების საუბრებისათვის მოესმინა და აუდიოჩანაწერები გაეკეთებინა.

– ვიცი, რომ ამ ვიდეოს ნახვა ბევრს გაუკვირდება, მაგრამ მე თავს ვალდებულად ვთვლი, მოვიქცე ისე, როგორც საჭიროდ ვთვლი. მე ვარ ბიძინა ივანიშვილის პირადი მცველი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბიძინას დავალებით ჩვენი უსაფრთხოების სამსახურს ევალებოდა ,,ქართული ოცნების“ წევრების საუბრების ფარული მოსმენა და ჩაწერა, რაზეც მე მიმიწვდებოდა ხელი. ამ ჩანაწერებს მე ტელევიზიას გადავცემ, რათა გაეცნოს საზოგადოება, რა სიცრუეს წარმოადგენენ ისინი, თუმცა ,,ქართული ოცნების“ მხარდამჭერთათვის ეს ძალიან მძიმე მოსასმენი იქნება, მაგრამ მე ვალდებულად ვთვლი თავს, წარმოვადგინო ეს, რათა ჩემი სამშობლოსა შვილების წინაშე პირნათელი ვიყო, – აღნიშნავს სურმავა.

მცველ სურმავას მიერ გავრცელებული აუდიოჩანაწერები რამდენიმე ეპიზოდისგან შედგება.

ერთ-ერთ ნაწილში კოალიციის წევრი ირაკლი ღარიბაშვილი ,,ქართული ოცნების“ საგარეჯოს მაჟორიტარობის კანდიდატ თინა ხიდაშელზე საუბრობს.

ის ხიდაშელს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს და ინტრიგების ხლართვაში ადანაშაულებს. ღარიბაშვილი ამბობს, რომ ხიდაშელისთვის საგარეო პოლიტიკა არ უნდა ჩაებარებინათ.

მეორე ეპიზოდში კოალიციის ლიდერი ეკა ბესელია ზაქარია ქუცნაშვილზე საუბრობს, სადაც მას ,,იდიოტად“ და ,,ხისთავიანად“ მოიხსენიებს და აცხადებს, რომ ივანიშვილი ქუცნაშვილს ,,ვირეშმაკას“ უწოდებს.

– მაგარია, ებრაელის ტვინი აქვს სუფთა. ეს იყო პირველი ადამიანი, რომელსაც ბიძინა შეხვდა რვაში ღამე და მეორე – მე. ეს იყო ქრონოლოგია. პირველი იყო ხუხაშვილი. მე, ცისკარიშვილი, სესიაშვილი და ხუხაშვილი ვაპირებდით ახალი დასის გაკეთებას, ვიდრე ბიძინა განცხადებას გააკეთებდა და კიდევ 2 მძიმე წონის ადამიანს ველაპარაკებოდით. გააკეთა უცებ განცხადება და მერე მე მითხრა, არ გააკეთო ცალკე, ჩემთან ერთად გააკეთეო. მე მოვიყვანე სესიაშვილი, მერე იდიოტი ზაქრო ქუცნაშვილი. სუფთა იდიოტი, რას მოიგებს ეს ხისთავიანი, ნაძირალა ბიჭია, ვერ იტანს ბიძინა მაგას, ეშმაკიაო, ასე ამბობს, – ამბობს ჩანაწერებში ბესელია.

კიდევ ერთ ჩანაწერში ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი კოალიციიდან გუბაზ სანიკიძე თავის პოლიტიკურ მომავალზე, ასევე თავად ივანიშვილსა და ბერაზე უარყოფით კონტექსტში ლაპარაკობს.

ჩანაწერებში ირაკლი ალასანიაც ჩნდება, სადაც ის ივანიშვილზე საუბრობს და მას უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებს. ამასთან, ის მეოცნებეთა ლიდერს საწყალს ეძახის.

გია ხუხაშვილი კი ჩანაწერში ალასანიას გარემოცვასა და რესპუბლიკურ პარტიაზე საუბრობს და აცხადებს, რომ რესპუბლიკელებს მისი და ივანიშვილის გახლეჩა სურდათ, თუმცა ეს შეუძლებელია.

მისი საუბრიდან ასევე ირკვევა, რომ რესპუბლიკელები და ალასანიას გარემოცვა ერთმანეთთან კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფებიან.

ამ ჩანაწერების გამოქვეყნებას სოციალურ ქსელებში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. არის შაყირი, მითქმა-მოთქმა და ერთი ამბავი.

ამას სერიოზულად არც მეოცნებეები უყურებენ, მათ შორის, არც ბიძინა ივანიშვილი აღშფოთებულა. ყოველ შემთხვევაში, ღიად არაფერი უთქვამს. ამბობს, რომ ეს არის ფაბრიკაცია.

ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ ამ ჩანაწერების გამოქვეყნებით ხელისუფლებას სკანდალის გადაფარვა სურდა. საუბარია ციხის კადრების სკანდალზე.

მისი დაცვის წევრი ამბობს, რომ ამ ჩანაწერების გაკეთება მას ივანიშვილმა სთხოვა. ქვეყნის პირველი მეოცნებე ამ ფაქტს არ ადასტურებს.

– მე მისთვის არაფერი დამივალებია. ის ხელისუფლებამ დააშინა და გამოიყენა. ეს ჩანაწერები კი ფაბრიკაციაა და მეტი არაფერი, – აცხადებს ივანიშვილი.

ამ კადრების გავრცელების შემდეგ ყველამ იცოდა, რომ ხელისუფლება კომპრომატების ომს გამოაცხადებდა.

სააგენტო „ივერონმა“ იმ დღეებში გაავრცელა ინფორმაცია. ჟურნალისტი ლევან ჯავახიშვილი იუწყებოდა, რომ ხელისუფლებას მეოცნებეთა წინააღმდეგ შეთქმულების გეგმა ჰქონდა შემუშავებული.

ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტელეკომპანიები არჩევნებამდე 2-3 დღით ადრე ყოველდღიურად გაუშვებენ ეთერში მაკომპრომეტირებელ მასალებს „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და კოალიციის წევრებზე, რომლებიც ფალსიფიკაციის გზითაა შექმნილი და ამ ეტაპზე კუდში ინახება.

აღნიშნულის შესახებ „ივერონს“ კონფიდენციალურმა წყარომ განუცხადა, რომელიც უსაფრთხოების მიზნით ამ ეტაპზე იძულებულია, ინკოგნიტოდ დარჩეს.

წყაროს ინფორმაციით, აპრილში კუდ-ში „ქართული ოცნების“ ლიდერთა და აქტივისტთა საუბრებისა და შეხვედრების ფალსიფიცირება დაიწყო.

– ამ პროექტს სათავეში დათა ახალაია და სოსო თოფურიძე ჩაუდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავდაცვის სამინისტროში გადავიდნენ, პროექტის ხელმძღვანელებად ბოლო მომენტამდე დარჩნენ. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში პარალელურად ჩართულნი არიან სოდ-ის შესაბამისი სამსახურებიც. პროექტის მიზანია, მოახდინოს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ლიდერებისა და მათი აქტიური წევრების კომპრომეტირება. ამ პროექტის განხორციელებისთვის შსს-მ 6 მილიონ დოლარად ღირებული სუპერთანამედროვე ტექნოლოგიები ამერიკაში შეიძინა. „მოდულის“ შენობაში უხვად აქვთ მომარაგებული ბიძინა ივანიშვილის კოალიციის წარმომადგენელთა პირადი და სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, ასევე, პარტიის წევრთა და ლიდერთა შეხვედრები. ამ შეხვედრებსა და სატელეფონო საუბრებს იწერდნენ კუდ-ის და სოდ-ის აგენტები. ამჟამად მიმდინარეობს ამ ჩანაწერების ფალსიფიცირება იმ დონეზე, რომ ნაყალბევის რეალურისგან გარჩევა ექსპერტიზის გარეშე შეუძლებელი იქნება, – განუცხადა „ივერონს“ წყარომ.

მისივე განცხადებით, იმ ჩანაწერებში, რომლებსაც მალე გაუშვებენ კონკრეტული ტელეკომპანიები, საუბარი იქნება ბიძინა ივანიშვილის მომხრეების მხრიდან როგორც ცალკეული პოლიტიკოსების, ასევე ამომრჩევლების მოსყიდვაზე.

– ჩვენ აუცილებლად მოვისმენთ გაყალბებულ სატელეფონო საუბრებსაც „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და რუსეთის სამხედრო დაზვერვის მაღალჩინოსნებს შორის, ასევე იმ რუს პოლიტიკოსებთან, რომელთაც განსაკუთრებული ანტიქართული განწყობა აქვთ. გავრცელდება აუდიოჩანაწერები, სადაც რუსი სამხედროები და სპეცსამსახურის თანამშრომლები „ქართული ოცნების“ წევრებს „სთავაზობენ“ ყველა სახის დახმარებას, თუ ქვეყანაში სიტუაციის არევას მოახერხებენ, – განაცხადა წყარომ.

წყაროს ინფორმაციით, უხვად გავრცელდება ვიდეოჩანაწერებიც, სადაც „ქართული ოცნების“ წევრები ერთმანეთს სხვადასხვა ავანტიურისტულ გეგმებზე ესაუბრებიან. გარდა ამისა, არსებობს რეალური ჩანაწერები კოალიციის წევრთა სატელეფონო საუბრებისა, სადაც ისინი შეგნებულად საუბრობენ არეულობასა და დესტაბილიზაციაზე. ეს პიროვნებები მართლაც „ქართული ოცნების“ წევრები არიან, ოღონდ სპეცსამსახურების მიერ შეგზავნილი და ტელეფონზე თუ პირადი შეხვედრებისას ერთმანეთს სპეცსამსახურების მიერ შედგენილი ტექსტით ესაუბრებიან.

სოციალურ ქსელებში გუშინ კიდევ ახალი ჩანაწერები გამოჩნდა, სადაც ბადრი პატარკაციშვილი ფიგურირებს.

სოციალურ ქსელებში თბილისის მერ გიგი უგულავასა და გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის შეხვედრის ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა.

როგორც შეხვედრაზე უგულავა ამბობს, „ამ შემთხვევაში იგი „მესენჯერის“ ფუნქციას ასრულებს და „ობში“ პოზიციას გამოხატავს“.

– სიტუაცია ისეთი იქმნება, რომ რაღაც წყალგამყოფი ხაზები ივლება. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ შორისაც არსებობს შავი კატა, რომელიც გადაულახავ წინააღმდეგობად იქცა. საბოლოო ჯამში, ვიღებთ იმას, რომ საკმაოდ დაშორდება ჩვენი პოზიციები. სამწუხაროდ, ხაზები გაივლო, ჩვენ აქეთ აღმოვჩნდით და თქვენ – იქით. რეაქციაც ჩვეულებრივად ადეკვატური იქნება. ასეთი რაღაცები უნდა ითქვას და მერე არ უნდა იყოს მოულოდნელობები. ადამიანმა თავად უნდა განსაზღვროს, ხაზს აქეთ არის თუ იქით, – მიმართავს უგულავა პატარკაციშვილს.

პატარკაციშვილის თქმით კი მესიჯი აბსოლუტურად გასაგებია და იგი მთელი ამდენი ხნის განმავლობაში ცდილობდა, რეალურად ის ადამიანი ყოფილიყო, რომელიც მაქსიმალურად სახელმწიფოს გვერდით დადგებოდა და ქვეყნისთვის საჭირო საქმეს გააკეთებდა.

– და თუ თქვენ ეს ასე გესმით, მაშინ, კი ბატონო. თქვენთ თუ გგონიათ, რომ მე ვარ ის ადამიანი, რომელიც ამ რაღაც-რაღაცების უკან დგას, მაშინ მე მაქვს ამის ცოტა ვალდებულება, რომ დაგანახვოთ, როგორი ადამიანი ვარ. კი ბატონო, არავითარი პრობლემა არ არის. მე არავისთან არანაირი პრობლემა არასდროს მქონია. მე თუკი რამეში შეიძლებოდა, ყველაფერში დამჩაგრეს და გადამაგდეს. მე რა ადამიანი ვარ, როგორი გახსნილი ვარ საზოგადოებისთვის ან თქვენთვის და რას ვაკეთებ, ამას გამოვიტან და დავდებ. თუ თქვენი მესიჯი ეს არის, მე არავითარი პრობლემა არ მაქვს. ის, რომ ცხრა თვეა გაჩუმებული ვარ და ხმა არ ამომიღია, თქვენ ამას იმაში მითვლით, რომ რაღაცების უკან ვდგავარ, – აღნიშნა ყოფილმა ბიზნესმენმა.

მისივე თქმით, არასოდეს მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი მხრიდან არც ერთი არაადეკვატური ნაბიჯი არ გადადგმულა.

– თუ თქვენ თვლით, რომ ის ნაბიჯები, რომლებიც ჩემი მხრიდან იდგმება, არაადეკვატური და არასწორია, მაშინ არავითარი პრობლემა არ არის. მე გამოვალ და ჩემს სწორ პოზიციას დავაფიქსირებ. მე მიმაჩნდა, რომ ჩემი სწორი პოზიცია, ალბათ, გაახარებს მტრებს და ამიტომ ცხრა თვეა საერთოდ გავერიყე ყველაფერს და ჩუმად ვარ, – აღნიშნავს პატარკაციშვილი.

გარდაცვლილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი ხელისუფლებას „გადაგდებაში“ ადანაშაულებდა.

– მე აბსოლუტურად ყველაფერში, თუკი რამეში შეიძლებოდა, დამჩაგრეთ და გადამაგდეთ, – ასე მიმართავს პატარკაციშვილი თბილისის მერ გიგი უგულავას შეხვედრის კადრებში, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

ყოფილი ბიზნესმენის თქმით, მას არავისთან არანაირი პრობლემა არასდროს ჰქონია და მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი მხრიდან არც ერთი არაადეკვატური ნაბიჯი არ გადადგმულა.

– მე მიმაჩნდა, რომ ჩემი სწორი პოზიცია, ალბათ, გაახარებს მტრებს და ამიტომ ცხრა თვეა საერთოდ გავერიყე ყველაფერს და ჩუმად ვარ, – აღნიშნავს პატარკაციშვილი.

სოციალურ ქსელში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას, გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის, ასევე ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილისა და „რუსთავი 2“-ის ყოფილი მფლობელის ეროსი კიწმარიშვილის შეხვედრის ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა.

ვიდეომასალა „იუთუბზე“ გუშინწინ არის ატვირთული და იგი, სავარაუდოდ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არის გადაღებული.

ვიდეომასალაში საუბარია ტელევიზიებში კადრების გადანაწილებასა და კონკურენციაზე.

შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილი ამბობს: „რატომ არ შეიძლება მოლაპარაკება, რომ „რუსთავის“ ჟურნალისტს არავინ გადაიბირებს და, პირიქით, ეროსი არ გადაიბირებს ინგა გრიგოლიას?“

ზურაბ ჟვანიას თქმით კი მთავარი პრეტენზია კადრების გადაბირებას უკავშირდება, რაზეც მას პატარკაციშვილმა ასეთი პასუხი გასცა:

– თუ ძმა ხარ, რა, მაშინ მითხარი, ვინ გადავიბირო? რას ჰქვია, იბირებდით ვილაცებს? ბაზარი და კონკურენციაა. თუ ვილაცები წამოვიდნენ ჩემთან იმის გამო, რომ უფრო მეტი ხელფასია, მე რა გავაკეთო? დუტამ მოიკლა თავი, ისე უნდოდა ჩემთან წამოსვლა. მე არ ვიპარავ ფილმებს, მინდა შევქმნა ნორმალური, ცივილიზებული სისტემა, ისეთი, როგორიც ყველა ქვეყანაშია. ამით ვარ მე დამნაშავე?

# ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით კომპრომატების გამოქვეყნება იგეგმება?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

უახლოეს დღეებში შესაძლებელია, საზოგადოებამ ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებული ვიდეომასალა იხილოს?! ამის შესახებ წერს ,,კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ხათუნა პაიჭაძე და ინფორმაციის წყაროს არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ ამის შესახებ კომპეტენტური წყაროდან შეიტყო.

ყველა ამ კომპრომატების გამოქვეყნების მოლოდინშია. ხელისუფლება ამბობს, რომ არაფერი არ არის და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მათ გვითხრეს.

ვიდრე ერი და ხელისუფლება კომპრომატებს ელის, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დედა რემა ჟვანია მისი შვილის ყოფილ მეგობრებს „ღირსეულად წასვლისკენ“ მოუწოდებს. მისი შესაბამისი ვიდეომიმართვა სოციალურ ქსელში გავრცელდა.



– მივმართავ მთავრობაში მყოფ ზურას ყოფილ მეგობრებს. თქვენ უღალატეთ საკუთარ გზას, რომელიც ზურასთან ერთად აირჩიეთ. დემოკრატიული სახელმწიფოს მაგივრად შექმენით ავტორიტარული, რომელშიც უსამართლობა და ძალადობა სუფევს. თქვენ იბრალებთ ზურას მეგობრობას. ეგ იყოს თქვენი სინდისის გადასაწყვეტი. თუ ასეა, ზურას ხსოვნის პატივსაცემად აღარ დაუშვათ ძალადობა. ნუ დაყოფთ საზოგადოებას მტრებად და თქვენიანებად! – ნათქვამია ვიდეომიმართვაში.

რემა ჟვანიას განცხადებით, საქართველოს ყველა მოქალაქე მოითხოვს არა მოჩვენებით, არამედ რეალურ უკეთესობას ადამიანის ყველა უფლების დაცვით.

– თქვენ არ შეასრულეთ ხალხის ნდობა. ღირსეულად მაინც წადით! – მიმართავს რემა ჟვანია ზურაბ ჟვანიას ყოფილ მეგობრებს.

## პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში, წამებასა და გაუპატიურებაში მხილებული კიდევ ოთხი პირი დააკავეს

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გუშინ გამთენიისას, პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში, წამებასა და გაუპატიურებაში ბრალდებული ოთხი პირი დააკავეს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში დღეს გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა შოთა ტყეშელაშვილმა განაცხადა, დაკავებულია ქუთაისის 2-ე საპყრობილის დირექტორი ზურაბ რუხაია, ამავე საპყრობილის რეჟიმის უფროსი დავით ნარსია და მორიგე ინსპექტორები ნიკოლოზ ვახტანგიშვილი და გიორგი გრძელიძე.

ტყეშელაშვილის თქმით, აღნიშნული პირები დანაშაულს სჩადიოდნენ ქუთაისის 2-ე საპყრობილის ტერიტორიაზე.

მისივე თქმით, გამოძიების ამ ეტაპზე, სულ, დაკავებულია 16 პირი. მათ შორის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ორი ციხის დირექტორი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება და იძებნება ერთი პირი. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.

ნიუსპრესი

## გია ხუხაშვილი: გიგა ბოკერია რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ევროპაში შეხვდა“



ექსპერტი გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ მისი ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს არა რუსეთში, არამედ ევროპაში შეხვდა.

როგორც ხუხაშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნულზე დაზუსტებული ინფორმაცია არ აქვს, თუმცა, ეჭვობს მათ შორის რაიმე გარიგება შემდგარიყო.

„ამასთან დაკავშირებით მინდა ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. ბოლო ხანებში პროპაგანდა საერთოდ აღარ საუბრობს რუსულ საფრთხეზე. ხელისუფლება ახლა მხოლოდ ქურდულ სამყაროსთან კავშირებზე და მსგავს მარაზმებზე აკეთებს აქცენტს“ – აღნიშნა ხუხაშვილომა.

მისივე თქმით, გარე ფაქტორები მნიშვნელოვანია, თუმცა, პროცესს დღეს ქართველი ხალხი მართავს.

„ამ ქვეყნის ბედს ქართველი ხალხი წყვეტს და არანაირ გარიგებაში არ უნდა შევიდეს ბოკერია რუსეთის ხელისუფლებასთან. ეს აღარაფერს შეცვლის“ – განაცხადა ხუხაშვილმა.

ბოლო დღეებში მედიასა და ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, გიგა ბოკერია რუსეთში იმყოფებოდა მთავრობის მაღალჩისნოსნებთან მოლაპარაკებების მიზნით.

ნიუსპრესი

## ანტალიის პოლიციამ 90 არალეგალი ქართველი დააკავა

ანტალიის პოლიციამ არალეგალურად მცხოვრები 90 ქართველი დააკავა. ყველა მათგანი სამშობლოშია დეპორტირებული. ქართველები ანტალიის ერთ-ერთ სათბურში არალეგალურად იყვნენ დასაქმებულები. მათგან 48 ქალია.

ანტალიის პოლიციამ სათბურის მეპატრონის წინააღმდეგ საქმე აღძრა.

თურქული მედიის ინფორმაციით, არალეგალების უმრავლესობა თავდაპირველად, ქვეყანაში ტურისტული მიზნით ჩავიდა.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანია: მიხეილ სააკაშვილი გაეროში სიტყვით ცარიელ დარბაზში გამოვიდა“

კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტს საერთაშორისო საზოგადოებაში სერიოზულად აღარ აღიქვამენ.



როგორც ალასანიამ განაცხადა, გაეროში მიხეილ სააკაშვილი სიტყვით ცარიელ დარბაზში გამოვიდა.

„მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი ჩემი ოპონენტია, მე გული მტკივა, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს ესე არასერიოზულად და ეჭვის თვალით უყურებს მთელი სამყარო, მაგრამ ეს დიდ ხანს არ გაგრძელდება“ – განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ ძალიან მალე ხელისუფლება შეიცვლება.

მისი თქმით, სააკაშვილის ხელისუფლების წასვლის შემდეგ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ჩავარდნილი, ხოლო ხაზინა გაძარცვული იქნება.

„ჩვენ უნდა მოვემზადოთ სერიოზული შრომისთვის, იმიტომ რომ ხაზინა დაგვხვდება გაძარცვული, მართლმსაჯულების სისტემა დანგრეული და საგარეო პოლიტიკა ჩავარდნილი. მინიმუმ, ერთი წელი მაინც დაგვჭირდება, რომ ფეხზე წამოვაყენოთ ქართული ეკონომიკა და დავიწყოთ სამართლებრივი სახელმწიფოს შენება“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

გაეროს გენერალური ასამბლეის 67-ე სესიის გენერალური დებატების ფარგლებში პრეზიდენტი სააკაშვილი სიტყვით გუშინ გამოვიდა.

ნიუსპრესი

# ეკა ბესელია: ხელისუფლება ხელს უშლის არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას!“

შორენა კოწოწაშვილი

**სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ციხეების უბინძურესი მეთოდებით მართვის დამადასტურებელი ვიდეო ჩანაწერების ტელევიზიით გავრცელების შემდეგ მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ღიად უთხრა უარი და თავისი აღშფოთება მრავალდღიანი საპროტესტო აქციებითაც დააფიქსირა. აგონიაში ჩავარდნილი მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეს ფაქტი ბიძინა ივანიშვილს დაუკავშირონ და ამასთან საზოგადოება დაარწმუნოს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები ამ არჩევნებზე „კანონიერი ქურდების“ და კრიმინალური ავტორიტეტების მხარდაჭერის იმედად არის.**



კოალიცია „ქართული ოცნების“ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ეკა ბესელია ფიქრობს, რომ ამ ხელისუფლების ბედი ქართველმა ხალხმა უკვე გადაწყვიტა და რამდენიმე დღეში, 1 ოქტომბერს, ამ გადაწყვეტილების გაფორმება მოხდება არჩევნების გზით.

– ბოლო დღეებია მიხეილ სააკაშვილი და მისი რეჟიმი სრულ აგონიაშია. ცდილობენ, როგორმე პოზიციები შეინარჩუნონ, მაგრამ ამათ ქართველმა ხალხმა უკვე უარი უთხრა. ამ დარჩენილ ოთხ დღეში ხელისუფლება კიდევ გეგმავს რამდენიმე პროვოკაციას, თუმცა ეს რეჟიმს უკვე ველარ უშველის. საზოგადოებამ იცის, რომ ბოლო პერიოდში 50-ზე მეტი ადამიანი დააკავა „ქართული ოცნების“ შტაბებიდან. ყველგან ერთნაირი სცენარით ხდება დაკავება და ერთი და იგივე ბრალდებით. განსაკუთრებით გამწვავდა ეს აგრესია ზუგდიდში სამეგრელოს დიდი აქციის შემდეგ. ამას მოჰყვა პროვიკაციები ბრაზილიური სერიალების მსაგვსად. ამან საზოგადოებაში უკვე კომიკური სახე მიიღო, – აცხადებს ეკა ბესელია. მისი თქმით, ხელისუფლება ყოველდღიურად ცდილობს რეგიონებში სხვადასხვა სახის პროვოკაციების მოწყობას. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ რეგიონებში ვითარება გაამწვავოს და დაშინებით, არჩევნების გაყალბებით როგორმე ძალაუფლება შეინარჩუნოს, მაგრამ ამ ხელისუფლების საქმე უკვე დამთავრებულია.

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დღეს პრესკონფერენცია გამართა და იმ პროვოკაციებზე ისაუბრა, რომელსაც საპორტო ქალაქში აქვს ადგილი. ამასთან, დეპუტატობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ საზოგადოებამ იმ ტელეშოუებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს, რომელსაც ამ დღეებში იხილავს, რადგანაც ეს არის აბსურდზე აგებული ფალსიფიკაცია.

– მოვუწოდებ საზოგადოებას, ყურადღება არ მიაქციოს ამ მდარე ხარისხის და სრულიად უსაფუძვლო ინფორმაციას. რაც შეეხება ფოთს, ჩვენს ცენტრალურ შტაბთან რამდენჯერმე მოვიდნენ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები და ჩვენი ახალგაზრდულის წევრების გამოწვევას ცდილობდნენ. კერძოდ, 24 სექტემბერს, მთელი დღის განმავლობაში, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული მოძრაობის წევრების პროვოცირებას ახდენდნენ. ისინი მოძრაობდნენ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ შტაბთან და ჩვენი მოძრაობის ახალგაზრდული მოძრაობის წევრებს შეურაცხყოფას აყენებდნენ, თუმცა ახალგაზრდების პროვოკაციაში ჩათრევა მათ ვერ მოახერხეს. ჩვენ გაფრთხილებულები გვყავს ჩვენი აქტივისტები, რომ არ აყვნენ და არ წამოეგონ მსგავს გამოწვევას. კარგად გაიგონ ამ უნიჭო სპექტაკლების დამდგმელებმა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხელისუფლებას ამ არჩევნებზე საკუთარი სცენარის განხორციელების საშუალება არ მივცეთ“, – განაცხადა ეკა ბესელიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, 25 სექტემბერს, დილით კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ფოთში, სამეგრელოს ქუჩაზე მდებარე საარჩევნო შტაბზე გაკრული ეკა ბესელიას სარეკლამო ბანერი დაზიანებული დახვდათ. კერძოდ, ბანერზე წითელი საღებავი იყო შესხმული. შტაბთან, მომართული იყო ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილიც“, რომელიც სახლის მეპატრონეს ირაკლი გიგიბერიას დილით აუმოქმედებელ მდგომარეობაში დახვდა. იურისტების შეფასებით, ეს ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ამიტომ ფაქტი სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული.

შტაბის მიერ გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია, რომელმაც შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი, თუმცა ხელმომწერის, პრესსამსახურის წარმომადგენლის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, არ გადაეცა აღნიშნული ოქმის ასლი.

– მოვითხოვთ, გამოძიება ჩატარდეს ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით და დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა. ორი დღის ვადას ვაძლევთ, კეთილი ინებონ და ორ დღეში მოგვაწოდონ ინფორმაცია, ვინ ჩაიდინა ეს ფაქტი. 26 მაისს უმძიმესი რეპრესიები მოუწყო ხელისუფლებამ ოპოზიციას, მაგრამ მაშინ „მოლოტოვის კოქტეილები“ არ აღმოუჩენიათ, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ამაზე საუბრობდნენ. დღეს ჩვენ ეს ფაქტი გვაქვს ფოთში ნივთმტკიცების სახით. თუ ამას ესენი არ გამოიძიებენ, ჩვენ გამოვიძიებთ რამდენიმე დღეში, როცა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვა. სააკაშვილმა კარგად უნდა გაიგოს, რომ მისი რეჟიმი დასრულებულია, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

პრესკონფერენციაზე ეკა ბესელიამ კომენტარი გააკეთა ცესკოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც საარჩევნო უბნებზე ვიდეოგადაღებას ზღუდავს. ბესელიას თქმით, ცესკოს გადაწყვეტილება უკანონოა. ეს ხელს უშლის არჩევნების გამჭვირვალედ და საჯაროდ ჩატარებას.

„ხელისუფლების ინტერესებშია, არჩევნების მიმდინარეობა არ გახდეს საჯარო და ცესკოს ეს გადაწყვეტილება სწორედ ამას ემსახურება. საერთაშორისო საზოგადოება. საერთაშორისო საზოგადოება ამას მწვავედ გამოეხმაურება“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საზოგადოებამ და რამდენად ჯდება ცესკოს გადაწყვეტილება კონსტიტუციის ფარგლებში, როგორც ფოთის მაჟორიტარი კანდიდატი აცხადებს, ცესკოს გადაწყვეტილებაზე მაღლა დგას საქართველოს კონსტიტუცია, ევროპული კონვენციები და საერთაშორისო ნორმები.

– უნდა მოვითხოვოთ, რომ ევროკონვენციით დაცული ნორმები იყოს დაცული, საარჩევნო პროცესი იყოს გამჭვირვალე და არა ისე დახურული, როგორც ამას ცესკოს ეს დასკვნა აკანონებს ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

გუშინვე ეკა ბესელიამ მოუწოდა მოსამართლეებს, თავი შეიკავონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების დაკანონებისგან. ბესელიამ საპატიმროში მოინახულა „ქართული ოცნების“ დაკავებული მხარდამჭერები – გიზო ცაცუა და გოდერძი შონია, რომლებსაც სასამართლომ 24 სექტემბერს 40-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ბესელიამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკავებული თანამებრძოლები გაამხნევა და დაჰპირდა, რომ მათ არ მოუწევთ 40 დღე იქ ყოფნა.

კოალიციის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გიზო ცაცუას და გოდერძი შონიას დაკავება უკანონოდ მოხდა; ეს არის პირდაპირი და ღია დევნა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მიმართ. მაგრამ, როგორც ივანიშვილის თანაგუნდელი აღნიშნავს, ეს პოლიტიკური რეპრესიები დიდხანს არ გაგრძელდება.

– ქალბატონო ეკა, იმედი გაქვთ, რომ პოლიცია სათანადოდ გამოიძიებს, როგორ მოხვდა მოლოტოვის კოქტეილი „ქართული ოცნების შტაბთან?

– მე ამის შესახებ დღეს ღიად მოვუწოდე. კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებენ, რომ კანონის ნორმებში იმოქმედონ და არა ერთი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის, ამ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობის ინტერესების შესაბამისად. გამოიძიებენ თუ არა ამ საქმეს, ვნახავთ, ყოველ შემთხვევაში მე მოვუწოდე და თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, ჩვენ თვითონ გავაკეთებთ, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება. კეთილი ინებონ და ორ დღეში მოგვაწოდონ ინფორმაცია, ვინ ჩაიდინა ეს ფაქტი. გახსოვთ, 26 მაისს როგორი უმძიმესი რესპრესიები მოუწყო ხელისუფლებამ ოპოზიციას. მაშინ მოლოტოვის კოქტეილები ვერ აღმოაჩინეს, იმის მიუხედავად, რომ ამაზე თეორიულად აპელირებდნენ. ვიმეორებ, თუ ესენი არ გამოიძიებენ, რამდენიმე დღეში ამ ფაქტს, ჩვენ გამოვიძიებთ. ეს რეჟიმი უკვე დასრულებულია და ამას ყველა უნდა შეეგუოს.

– საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ცესკოს გადაწყვეტილებას მწავვე რეაგირება მოჰყვება?

– რა თქმა უნდა. ხელისუფლება ხელს უშლის არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას, რასაც საერთაშორისო საზოგადოება ეწინააღმდეგება. ჩვენ, ყველამ ერთად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არჩევნები მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩატარდეს.

## მეტეხის ხიდზე პატრიარქმა პარაკლისი გადაიხადა



მეტეხის ხიდზე წმინდა 100 000 მოწამის წამების ადგილზე პარაკლისი დასრულდა. პარაკლისი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდელმთავრებთან და რამდენიმე ათეულ სასულიერო პირთან ერთად აღავლინა. მსახურებას უამრავი მრევლი ესწრებოდა, რომლებიც დღეს თბილისის კურთხევასთან დაკავშირებით მსვლელობებში მონაწილეობდნენ. მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად მომლოცველებს ეკავათ.

პარაკლისის დაწყებამდე პატრიარქმა მრევლს მცირე ქადაგებით მიმართა. უწმინდესმა მრევლს ჯვართამაღლების დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ ღვთისმშობელი ყოველთვის იცავდა და დღესაც იცავს საქართველოს. მან კურთხევა მისცა მრევლს, რომ ღვთისმშობლის ლოცვა „მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო“ რამდენჯერმე ეთქვათ პარაკლისის დაწყებამდე და პარაკლისის ბოლოსაც. ეს ლოცვა მრევლმა რამდენჯერმე თქვა. პარაკლისის დასრულების შემდეგ უწმიდესმა მრევლი კიდევ ერთხელ დალოცა და შეკრებილებს სამების ტაძარში წასვლისკენ მოუწოდა, სადაც აფხაზეთის ომის დროს დაღუპულთათვის პანაშვიდი გადაიხადეს.

ინტერპრესნიუსი



[illegible]

[illegible]

# სანდრო ბრეგაძე: მთელი საქართველო ჯოჯოხეთს დაემსგავსა“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ეროვნულების ერთ-ერთ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, სამი დღე დარჩა არჩევნებამდე, საზოგადოება სიახლის მოლოდინშია. როგორია თქვენი შეფასებები და რას ელოდებით?***

— რამდენიმე დღის წინ მე შეხვედრა მქონდა ბატონ ბიძინასთან, სამი საათი გრძელდებოდა ჩვენი საუბარი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მესიჯი იყო ის, რომ ბატონმა ბიძინამ განაცხადა ასეთი რამ, რომ ის არ უღალატებს თავის ხალხს და არავის მისცემს უფლებას, საქართველოს მოსახლეობას წაართვას არჩევანი და გააყალბოს არჩევნები. მან განაცხადა, რომ მშვიდობიანი პროტესტის ფორმით დაცული იქნება არჩევნებში მიღებული ხმები. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრი არავითარ შემთხვევაში არ წავა გარიგებაზე ხელისუფლებასთან და გაყალბებული არჩევნების შედეგებს არ აღიარებს. ყველამ უნდა იცოდეს ერთი რამ, ყველა პარტიამ და ორგანიზაციამ, რომლებიც გაერთიანებული არიან ოპოზიციაში, ქართველი ერი დღეს იბრძვის არა იმისთვის, რომ ვიღაცა პარლამენტში შევიდეს და პარლამენტარის მანდატი მოირგოს, არამედ იბრძვის იმისთვის, რომ ის რეჟიმი, რომელიც დღეს არის საქართველოში დამყარებული და რომელმა რეჟიმმაც, ჩვენდა სამწუხაროდ, თავისი სახე ამ ბოლო დღეებში კიდევ უფრო ნათლად აჩვენა და აბსოლუტურად მიწასთან გაასწორა ყველანაირი დემოკრატიული ღირებულება, აუცილებლად უნდა შეიცვალოს. უნდა შეიცვალოს და ყველა დამნაშავემ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადამიანების მკვლელობაში, ადამიანების წამებაში, საქართველოს მოსახლეობის დათრგუნვაში, სახელმწიფო ქონების განიავებაში, პასუხი უნდა აგონ. მე დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად აგებენ. ეს არის მთავარი მოთხოვნა, მთავარი გზავნილი, შეკვეთა სრულიად საქართველოს მოსახლეობისა ყველა ოპოზიციური პარტიის მიმართ. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საუბარი არის გამარჯვებაზე, რეჟიმის შეცვლაზე, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ნაციონალური მოძრაობის დამარცხებას ამ არჩევნებში. მე და საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას გვაქვს ეს მოლოდინი. თუკი ოპოზიცია იქნება პრინციპული და თანმიმდევრული და თავის პრინციპებსა და მეობას არ გაცვლის პარლამენტარის მანდატზე, მაშინ ეს გამარჯვება მიღწეული იქნება და ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში დამყარდება დემოკრატია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში იქნება იმაზე უარესი დიქტატურა, რომელიც დღეს გვაქვს საქართველოში. რაც შეეხება არსებულ სიტუაციას, ეს იდეალურისგან, რა თქმა უნდა, ძალიან შორს არის. ჩვენ ყველანი ვხედავთ იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა არანაირად არ აპირებს პოზიციების დათმობასა და ხელისუფლებიდან წასვლას, მიუხედავად იმ საშინელებისა, რომელიც მთელმა საქართველომ იხილა ტელევიზიით და პირადად მე ეს საშინელება დაახლოებით ერთი წლის წინ ვიხილე, როდესაც საპატიმროში ვიჯექი აბსოლუტურად გამოგონილი ბრალდებით. ეტყობა, ხალხს ყველაფერზე ვიდეოკადრები სჭირდება, რათა დაიჯერონ, რა ხდება. მე როდესაც საპყრობილიდან გამოვედი და ვლაპარაკობდი, რომ ასეთი რამეები ხდება ციხეში, ვატყობდი, რომ ზოგიერთ ჩემს ახლობელსაც კი არ სჯეროდა ჩემი და მათ თვალებში ამოიკითხავდით, ეს ახლა ოპოზიციაშია, გამწარებულია ხელისუფლებაზე და ამას იმიტომ ამბობსო.




***— თქვენ მართლაც ხართ თვითმხილველი და მომსწრე იმისა, რაზეც დღეს საუბრობენ? თქვენი თვალით გაქვთ ნანახი ეს საშინელება ციხეში?***

— არსებული პოლიტიკური პატიმრებიდან, რომლებიც ციხეში ისხდნენ, მე მაქვს ყველაზე მეტი ნანახი, იმიტომ რომ ხათუნა კალმახელიძის პირადი ბრძანებით ეს იყო მისი პირადი ანგარიშსწორება და შურისძიება იმ ინტერვიუების გამო, რომლებსაც მე ვიძლეოდი მასთან დაკავშირებით და თქვენც კარგად გახსოვთ, როგორ ვაკრიტიკებდი. მე გავატარე საკმაოდ დიდი ხანი ე.წ. კარანტინში და ძირითადი უბედურებები სწორედ იქ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალურად ცდილობდნენ, ჩემთვის არ დაენახვებინათ ის წამებები, რომლებიც იქ ხდებოდა, რა თქმა უნდა, იქ ვიყავი და ბევრ რამეს საკუთარი თვალით ვხედავდი, ბევრი მესმოდა კიდევაც და ასევე ჩემი თანამესაკნეები მიყვებოდნენ იმ საშინელებების შესახებ, რომლებიც ხდებოდა გლდანის საპყრობილეში. ეს საშინელებები კი ხდებოდა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მითითებითა და მათი დავალებით. თქვენ როგორ გგონიათ, ციხის რიგითი თანამშრომლები თავიანთი ნებით აკეთებდნენ ამას ყველაფერს? ან მარტო ციხის უფროსი იყო ამაში დამნაშავე და ან კიდევ სადისტი, მკვლელი ხათუნა კალმახელიძე?! რა თქმა უნდა, ხათუნა კალმახელიძეს მწვანე ჰქონდა ანთებული. მართალია, ის ყველაზე ნაკლებად წყვეტდა, რა და როგორ, მაგრამ მასაც ჰქონდა გარკვეული წვლილი იმ წამებებში, რომლებიც ციხეებში ხდებოდა. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველაზე მეტი მე მაქვს ნანახი პოლიტპატიმრებიდან იმ ციხეში და, რა თქმა უნდა, ეს იყო საკმაოდ მძიმე და დამთრგუნველი. მე ამაზე ერთი წლის განმავლობაში ვსაუბრობდი, მაგრამ ამ ხალხს ეგონა, რომ ეს ოპოზიციონერია, დაბოღმილია ამ ხელისუფლებაზე, რადგანაც დააპატიმრეს და არ სჯეროდა ბევრს ამის. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, 95% არის ისეთივე ჯალათი, როგორი ჯალათებიც იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ ტელეკადრებში ვიხილეთ და რომლებმაც გაუგონარი საშინელება ჩაიდინეს. ამ ეტაპზე ეს ყველაფერი შეიძლება შეჩერდეს, მაგრამ, თუკი ავტორიტარული რეჟიმი დარჩება ქვეყანაში, ეს წამებები გაგრძელდება და გაგრძელდება ასჯერ უარესი ფორმებით. აქ მთავარია არა მარტო საპყრობილეები, არამედ მთავარი არის ის მოსამართლეები, ის პროკურორები, რომლებიც აბსოლუტურად უკანონოდ იჭერენ ადამიანებს, თვითონაც ძალიან კარგად იციან, რომ სასაკლაოზე უშვებენ. მე როდესაც გლდანის საპყრობილეში მიმიყვანეს, თვითონ ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციელებმა მითხრეს — ბატონო სანდრო, თქვენ ახლა ჯოჯოხეთში ხვდებით, ჩვენ არაფერი შეგვიძლია, უბრალოდ, შემსრულებლები ვართო. თვითონ პოლიციელები ამბობდნენ, რომ იქ იყო ჯოჯოხეთი. მე კი ვიტყვი, რომ ჯოჯოხეთი არის მთელი საქართველო. მთელი საქართველო ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ჩემო ძვირფასო ქართველებო, ეს გაგრძელდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში დარჩა ისევ ერთპარტიული დიქტატურა, რომელიც დღეს გვაქვს.

***— ბატონო სანდრო, თქვენს ფეისბუქის გვერდზე წავიკითხე საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია, წერდით, ორი ოქტომბრისთვის თვითმფრინავის არც ერთი ბილეთი არ არის, ყველა გაყიდულიაო. თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიძინეს და გასაქცევად ემზადებიან?***

— მე და თქვენ რომ არ გვიყიდია, ეს ხომ ფაქტია. არც რიგით მოქალაქეებს. სახელები და გვარები, რა თქმა უნდა, არ გამიმხილეს, ვინ აიღო ეს ბილეთები, მაგრამ ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება. ასევე საინტერესოა ერთი ფაქტი, საქართველოს ბანკის მიერ რვა მილიონი გირვანქა სტერლინგის აქციები იქნა გაყიდული ლონდონის საფონდო ბირჟაზე. როგორც ინგლისელები იუწყებიან, ქართველმა ინვესტორებმა გაყიდეს ეს ყველაფერი. ჩვენთვის ხომ ყველასთვის კარგად არის ცნობილი, „საქართველოს ბანკი“ არის ნაციონალური მოძრაობის სალარო. აბსოლუტურად ყველა თანხა, რომელიც წაართვეს ბიზნესმენებს, აბსოლუტურად ყველა სხვა მილიონები, რომელიც ხელში ჩაუვარდა ხელისუფლებას, ეს ყველაფერი მიედინებოდა და მიედინება „საქართველოს ბანკში“. „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელი გახლავთ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრი, დღევანდელი ხელისუფლების ელიტა. ის, რომ დღეს „საქართველოს ბანკის“ აქციები იყიდება, იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც რეალურად არიან „საქართველოს ბანკის“ მფლობელები, ყიდიან თავიანთ აქციებს საქართველოში. თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ჩემთვისაც და თქვენთვისაც ადვილი ასახსნელია. საკმაოდ ბევრი ადამიანი ემზადება საქართველოდან წასასვლელად, უფრო ზუსტად, გასაქცევად და ცდილობს, ის ქონება, რომელიც უკანონოდ არის მოპოვებული, გადაარჩინოს და გაიტანოს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ბუნებრივიც არის, რომ ასე იქნება, მაგრამ ძალიან იშვიათად შერჩენიათ ასეთი ქონება.

***— თუმცა არც ისე მარტივად დათმობენ და, ალბათ, მაქსიმალურად შეეცდებიან, შეინარჩუნონ თანამდებობები... ვხედავთ, როგორი კომპრომატების ომი მიდის, როგორი რეპრესიული მანქანა ამუშავდა.***

— როდესაც დღეს ამბობენ, რომ ვიღაცა ვიღაცასთან იყო, იმას ასეთი წარსული აქვს და ასე შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის ნახევარი იყო ასლანტ აბაშიძესთან, ხოლო მეორე ნახევარი იყო ედუარდ შევარდნაძესთან. თუ ვინმეს აინტერესებს, გვარებსაც ჩამოვუთვლი, ვინ იყო ასლან აბაშიძესთან და იმაზე დაახლოებული ადამიანები იყვნენ, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი, რომლებიც იმ კოალიციაში შევდიოდით. გამოდიან და ახლა სხვებზე საუბრობენ, ასეთი წარსული აქვთ, ისეთი წარსული აქვთო. სწორედ თვითონ არიან იმ წარსულის ნაწილნი, რომელიც არცთუ სახარბიელო იყო. როდესაც ასეთი წარსულიდან მოდიან ადამიანები, რასაკვირველია, ეცდებიან ხელისუფლების შენარჩუნებას. ისინი ხომ მიჩვეული არიან მუდმივად ხელისუფლებაში ყოფნას. დღეს არიან პარლამენტარები, რომლებიც სამხედრო საბჭოს შემდგომ მუდმივად არიან ხელისუფლებაში. ისინი ხელისუფლებამ შექმნა პიროვნებებად. ამის გარეშე ისინი არაფერს წარმოადგენენ არც სამეგობროში და არც სანათესაოში. ხელისუფლებამ შექმნა ისინი ადამიანებად და, რასაკვირველია, ეს ადამიანები მაქსიმალურად ეცდებიან და ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ არავითარ შემთხვევაში ხელისუფლებას არ ჩამოსცილდნენ და არ ჩაცვივდნენ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ადრე იყვნენ. თუმცა, ვიმეორებ, თუ იქნება პრინციპული დამოკიდებულება, თუ იქნება პრინციპული ნება ქართველი ხალხისა, ოპოზიციისა და მათი, ვინც იბრძვიან თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის, მაშინ, რაც არ უნდა წინააღმდეგობა გასწიოს, ხელისუფლება ვერაფერს იზამს, ხოლო თუკი იქნება უპრინციპობა, თუკი იქნება შიდა განხეთქილება, თუ ვიღაცას პარლამენტარობისკენ წასძლევს სული, მაშინ ამ ხელისუფლებას გადარჩენა შეუძლია. თუმცა, არა მგონია, ეს მოხდეს. ჩემთვის მთავარია, რომ ბიძინა ივანიშვილი განწყობილია სამართლიანად და ის განწყობილია ბოლომდე საბრძოლველად.

***— თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ორი ოქტომბერი?***

— ჯერ იმაზე ვიფიქროთ, პირველი ოქტომბრის ღამე როგორი იქნება. მე მაინც დიდი ალბათობით დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება ყველანაირი მეთოდით შეეცდება, გააყალბოს არჩევნები და ის ოპოზიციის გამარჯვებას არ დაუშვებს. ის ყველანაირად ეცდება, პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვოს და პრემიერ-მინისტრი ჰყავდეს თავისი კაცი. მაგრამ, თუ ასე იქნება, ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს მშვიდობიანი პროტესტი. აი, ასე წარმომიდგენია პირველი ოქტომბრის ღამეც და ორი ოქტომბერიც. მე გამოვრიცხავ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვოს რეალურ არჩევნებში და იმასაც გეტყვით, რომ ამათი სერიოზული დამარცხება უკვე სახეზეა და რეალურად ისინი 10%-ზე მეტს ვერ აიღებდნენ და ესეც არის არაქართულენოვანი მოსახლეობა და ადმინისტრაციული რესურსი, მაგრამ იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ ისინი აბსოლუტურად სხვა შედეგებს დადებენ და გამოაცხადებენ, რომ ისინი არიან გამარჯვებულები. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ აგენტორული პარტია ქრისტიან–დემოკრატები, რომლებიც სიმსივნესავით არის მოდებული ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რასაკვირველია, ხელისუფლების მხარდამჭერი იქნება. ამ ტიპის მოძრაობამ, ჩემი აზრით, საერთოდ არ უნდა იარსებოს. ეს არის პარტია, რომელიც ნაციონალურ მოძრაობაზე ბევრად უარესია. ჩემი პროგნოზი ასეთია — „ქართული ოცნება“ რეალურად გაიმარჯვებს არჩევნებში, მაგრამ ნაცმოძრაობა ამ გამარჯვებას არ დააფიქსირებს. მე მჯერა, ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ჩვენი ხალხის ნება იქნება. 21-ე საუკუნეში არანაირი ავტოკრატია აღარ უნდა დავუშვათ. ქართველმა ერმა და საქართველოს მოსახლეობამ უნდა გაიმარჯვოს. დღეს კი ამ ყველაფრის გარანტი გახლავთ ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მან მოგვცა სიტყვა, რომ ის ბოლომდე მშვიდობიანი მეთოდებით იბრძოლებს.

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველო მუდმივად დგება ფერფლიდან, რამდენჯერაც არ უნდა სცადონ მისი წაქცევა“

საქართველო მუდმივად დგება ფერფლიდან, რამდენჯერაც არ უნდა სცადონ მისი წაქცევა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში, დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე განაცხადა.

მიხეილ სააკაშვილთან ერთად აეროპორტის გახსნის ცერემონიას სხვა, მთავრობის წევრები და უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ესწრებოდნენ.

მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას დღევანდელ გუშინ ისტორიული უწოდა და განაცხადა, რომ აეროპორტის გახსნა იმერეთის განვითარების სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.



„ეს არის ისტორიული დღე იმერეთისთვის. რეგიონში გაჩნდა ძალიან დიდი ცენტრი გადაადგილების და ამით ის ძალიან ბევრ რაღაცას იძენს. კოპიტნარის ყოფილი სამხედრო აეროპორტის ადგილზე, რომელიც 2008 წელს მიწასთან გაასწორა დამპყრობლის ავიაციამ, ქუთაისის დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტის გახსნა, არის სიმბოლო იმისა, რომ საქართველო მუდმივად დგება ფერფლიდან რამდენჯერაც არ უნდა სცადონ მისი წაქცევა. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ საქართველო არასდროს ხრის თავს და არ რჩება გაუბედურებულ მდგომარეობაში“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე განმარტებით, აეროპორტს აღმაშენებლის სახელი მხოლოდ დიდი მეფის პატივსაცემად არ ეწოდა. პრეზიდენტის განმარტებით, ამ სახელის მთავარი მრწამსი არის ის, რომ „მუდმივად ვითარდებოდე, მუდმივად აშენებდე, ოდნავ სულს რომ მოითქვამ — აშენებდე, რაც არ უნდა გიჭერდეს — აშენებდე“.

„ჩვენ ცოტა ხნის წინ გავხსენით ბაგრატი. ხელახლა ვაშენებთ ქალაქ ქუთაისს, ქუთაისი ეს ვიღაცების ახირება კი არაა, ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს — საქართველო ყველა მიმართულებით უნდ განვითარდეს, ბევრი ცენტრი შეიქმნას. ქუთაისი შენდება ისე, როგორც არასდროს არ აშენებულა წარსულში“, — განმარტა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ახალი აეროპორტის მთავარი პრივილეგია ის არის, რომ ევროპის მიმართულებით მოქალაქეებს იაფად ფრენებს შესთავაზებს.

„ეს აეროპორტი არც თუ შორეულ წარსულში იყო ჩაბნელებული. ეს იყო ჩვენი სიტუაცია, საიდანაც მოვდივართ და სადაც ჩვენი დაბრუნება უნდათ. იმ ხალხისთვის, ვინც იქ გვაბრუნებს, ყველაფერი, რაც ვაკეთეთ არის სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხე. მათი მთავარი ლოზინგია ის, რომ პარლამენტი არ იყოს ქუთაისში, მაგრამ მინდა ყველა დავაწყნარო — პარლამენტი უკვე არის ქუთაისში, როგორც დაგეგმილი იყო“, — აღნიშნა სააკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი თარგამაძე: ინგა გრიგოლია ჩვენს გუნდში რჩება“

ინგა გრიგოლიამ გლდანში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატურა მოხსნა, თუმცა რჩება ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრად და უახლოეს დღეებში პირადად განაცხადებს ამის შესახებ, — განუცხადა ქდმ-ს ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ჟურნალისტებს. თუმცა თარგამაძის თქმით, გრიგოლია კანდიდატურის მოხსნა ოფიციალურად ჯერ არ არის გაფორმებული, რადგან ამას პროცედურები სჭირდება. ამასთან, მან დასძინა, რომ გრიგოლია რჩება ქდმ-ს წევრად.



„ინგა გრიგოლია რჩება ჩვენი გუნდის წევრად და ამ დღეებში ამის შესახებ პირადად განაცხადებს“, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

მისი თქმით, ინგა გრიგოლია არის ქალაქგარეთ გასული და დღეს მასთან კონტაქტი შესაძლებელი იქნება.

„ინგა გრიგოლია ქალაქგარეთ არის გასული. დღეს ის ხელმისაწვდომი გახდება სხვებისთვის. ინგა რჩება ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრად, იზიარებს ყველა იმ პასუხისმგებლობას და ერთგულია ყველა იმ დაპირებისა, რასაც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ მთელი საარჩევნო კამპანიის დროს, საქართველოს მასშტაბითა და მათ შორის, გლდანელი ამომრჩევლის წინაშე გავცემდით. ინგა გრიგოლია არის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე, ჩვენთან ერთად იბრძოლებს ყველა იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ვსაუბრობდით არჩევნების დროს ამომრჩევლებთან“, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ხაინდრავას ეჭვი აქვს, საქართველოს პროკურატურამ საფრანგეთიდან მიღებული მასალები გააყალბა



რეჟისორ გოგა ხაინდრავას განცხადებით, საქართველოს საგამოძიებო სტრუქტურებს საფრანგეთიდან მიღებულ კონფიდენციალურ მასალებთან დაკავშირებით მასთან შეკითხვები აღარ აქვთ.

როგორც ხაინდრავამ გუშინ პოლიციაში მისი დაკითხვის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ახლა უკვე მას აქვს კითხვები.

„ეს იყო სააკაშვილის თაღლითობა, ეს არის ტერორისტული რეჟიმი... ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, მაგრამ გრძელი კუდი და მე ამ კუდზე მიჭირავს ხელი. სააკაშვილის პრკურატურის იუსტიციის სამინისტროს და შს სამინისტროს მიმართ არის ეჭვი, რომ თაღლითურად გააყალბეს ის დოკუმენტები, რომლებიც ფრანგული მხრიდან იყო მოწოდებული. ამ კუდით აუცილებლად მივიყვან და დავსვამ სასამართლო სკამზე მხოლოდ ამ საქმის გულისთვის, რომელმაც საერთაშორისო სკანდალის ელფერი მიიღო. მე ამომწურავი პასუხი გავეცი ყველა კითხვას. ჩემთან შეკითხვები აღარ არის, მაგრამ ახლა მე მაქვს შეკითხვები. მათი ნუსხა უკვე მიწოდებულია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთავრობისადმი და ამ კითხვებზე ველოდები პასუხებს... ამ პასუხების მოსვლის შემდეგ უკვე გამოძიებაც იქნება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ თაღლითურად, კანონის დარღვევით ეს მთავრობა ებრძვის საკუთარ მოქალაქეებს“, – განაცხადა ხაინდრავამ და დასძინა, რომ ეს საქმე აუცილებლად გაგრძელდება და შეკითხვებზე პასუხის გაცემა სააკაშვილს, მერაბიშვილს და ადეიშვილს მოუწევთ. ხაინდრავას თქმით, მას აქვს გონივრული ეჭვი, რომ საქართველოს პროკურატურამ საფრანგეთიდან მიღებული მასალები გააყალბა. რეჟისორის თქმით, მიმდინარეობს დოკუმენტების ექსპერტიზაც.

**მედიანიუსი**

---

# ვლადიმერ ბედუკაძეს ინტერპოლი ეძებს



ინტერპოლმა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ყოფილ თანამშრომელზე ვლადიმერ ბედუკაძეზე ძებნა გამოაცხადა.

ამის შესახებ „ინტერპოლი“ ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს. როგორც ვებ-გვერდზეა აღნიშნული, ბედუკაძე იძებნება საქართველოს მიერ დანაშაულის კატეგორიაში მითითებულია – სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ბედუკაძე წითელი ცირკულარით იძებნება, რომელიც პირის დაკავებას შემდგომი ექსტრადაციის მიზნით ითვალისწინებს.

ბედუკაძე სასჯელაღსრულების სისტემაში 2001 წლიდან ექვს სხვადასხვა დაწესებულებაში, ოთხ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. მე-8 საპყრობილეში კი, გახსნის დღიდან საქმიანობდა. გლდანის მე-8 დაწესებულებაში პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ვიდეოგადაღებებს სწორედ ბედუკაძე აწარმოებდა. მაშინ, როდესაც საქართველოს ტელევიზიებით აღნიშნული კადრები გავრცელდა, ბედუკაძე ბრიუსელში იმყოფებოდა. ბრიუსელში მან პრესკონფერენციაც გამართა და ასევე, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას საკუთარი ოჯახის ქვეყნიდან გაყვანაში დახმარება სთხოვა. მისმა ოჯახმა საქართველო უკვე დატოვა.

**ნიუსპრესი**

---

# ზურაბ ხაჩიძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას კომპრომატებით ბრძოლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ დიდუბის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი ზურაბ ხაჩიძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას კომპრომატებით ბრძოლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ამასთან დაკავშირებით გუშინ ზურაბ ხაჩიძემ განცხადება გაავრცელა.

მისი თქმით, მედია და ინტერნეტსივრცე კომპრომატებით ბრძოლის უმსგავსო მეთოდებითაა გაჯერებული.

„ყოველივე ამან იმდენად ამაზრზენი სახე მიიღო, რომ არ შეიძლება ეს ადამიანმა კატეგორიულად არ დაგმოს. მე, როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი და პირველ რიგში, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ვგმობ მიმდინარე პროცესებს. დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის ერთმანეთის ლანძღვაზე აგება. რაც მთავარია, დაუშვებელია ბრძოლის ამგვარი ბინძური მეთოდით საზოგადოება მუდმივ სტრესში ამყოფო! მოვუწოდებ ყველას, პოზიციას თუ ოპოზიციას შეწყვიტეთ საზოგადოების ნერვებზე თამაში და დავუბრუნდეთ ჯანსაღ წინასაარჩევნო გარემოს. ვიბრძოლოთ იდეებით და პროგრამებით და არა კომპრომატებით!“– აცხადებს ხაჩიძე

მისივე თქმით, არსებობს საფრთხე, რომ შექმნილი ვითარება მასობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ადამიანებს მივცეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება და პირველ ოქტომბერს ყველამ ერთად ვუთხრათ არა მოძალადე ნაციონალურ მოძრაობას, ძალას რომელიც პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებს და სადისტურად აწამებს საკუთარ მოქალაქეებს“, – აცხადებს ხაჩიძე.

**ინტერპრესნიუსი**

---

# ახალგაზრდები ძალადობას გმობენ

ნათია ხურცილავა

**სტუდენტები თავიანთ პროტესტს კვლავ განაგრძობენ. მათი განცხადებით, ისინი პროტესტს მანამ არ შეწყვეტენ, სანამ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.**

**სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭო ხელისუფლებას მიმართავს. მიმართვაში ახალგაზრდები პატიმრებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებს კიდევ ერთხელ გმობენ და მთავრობას სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდებენ.**



– ჩვენ ერთიანი, ერთი ღირსების მქონე საზოგადოება ვართ და პატიმრებზე განხორციელებული მარაზმით პენიტენციურმა სისტემამ არა მარტო მათ, არამედ ჩვენს მთელ საზოგადოებას მოგვაყენა შეურაცხყოფა. დღეს ჩვენ ყველანი, რეჟიმის მძევლები, ვავალდებულებთ ჩვენ მიერ დაქირავებულ მთავრობას, რომ პენიტენციურ სისტემაში დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო პასუხი აგოს ყველა დანაშაულზე, დაწყებული ყველაზე ზემდგომი პირით, დამთავრებული რიგითი ბადრაგით. სისტემა უნდა დაინგრეს! – ნათქვამია მიმართვაში.

სტუდენტები თავიანთ მიმართვაში ხელისუფლებას პატიმართა უფლებების დაცვასა და მათ წამებაში მონაწილე პირების უმკაცრესად დასჯას სთხოვენ.

– რადგან დღეს ჩვენმა მთავრობამ ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობები, საზოგადოება უნდობლობით არის აღჭურვილი და ამიტომ მოგიწოდებთ, სასწრაფოდ მიიღოთ ზომები, რომ არა მარტო ერთეულები, არამედ მთელი საზოგადოების მიერ დაქირავებული პირები უმკაცრესად დაისაჯონ, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა აღებული, ემართათ და ასევე ეკონტროლებინათ პენიტენციური სისტემა. მოვითხოვთ, დაცული იყოს პატიმრების უფლებები. დაცულნი იყვნენ ისინი იმ კონსტიტუციით, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს, უზრუნველყოფილნი იყვნენ ჯანდაცვით, რადგან გვაქვს ინფორმაცია, რომ სახელმწიფო ახლაც გულგრილად ეპყრობა მათ ჯანდაცვას, – აღნიშნულია მიმართვაში.

სტუდენტები ხელისუფლებას ასევე სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენაც მოუწოდებენ და აფრთხილებენ, რომ გაყალბებულ არჩევნებს არ აპატიებენ.

– ჩვენ მოვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას, მოვითხოვთ, კანონის ფარგლებში ჩატარდეს არჩევნები, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ხალხში უნდობლობაა და სწორედ ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, მთავრობამ აღიდგინოს სტატუსი, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა და ჩაატაროს სამართლიანი არჩევნები! ჩვენ არ გაპატიებთ გაყალბებულ არჩევნებს! მოგიწოდებთ, რომ გულგრილობა დანაშაულია! თქვენ გაქვთ პასუხისმგებლობა, უზრუნველყოთ არჩევნების სამართლიანად ჩატარება. მთავრობის მიერ ყველა გაყალბების მცდელობის დაშვება, არდაგმობა და შესაბამისი რეაგირების არგაკეთება უტოლდება განხორციელებული პენიტენციური დანაშაულის სისასტიკეს და ყოველივე ამის ჩამდენი არის ის ჯალათი, რომელიც გამოაშკარავდა ბოლო მოვლენების დროს. ჩვენ მშვიდობიანად გამოვხატავთ ჩვენს პროტესტს! არა ძალადობას! ჩვენ გვტკივა თქვენი დემოკრატია. ჩვენ გავიღვიძეთ და ერთ მუშტად შეკრულნი ვგმობთ უსამართლობას! – ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერენ საქართველოს სტუდენტები, ახალგაზრდები, სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

სტუდენტური გაერთიანება „ლაბორატორია 1918“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას მოუწოდებს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ეროვნულ სტადიონზე დაგეგმილ აქციაში მონაწილეობა არ მიიღოს.

სტუდენტი თორნიკე კვანჭიანი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მათ თვითმმართველობის წევრებთან შეხვედრის სურვილი აქვთ.

– სტუდენტურმა თვითმმართველობამ უნდა გააცნობიეროს, რომ აუცილებელია, დაისაჯოს ბაჩო ახალაია და ხელისუფლების ყველა ის მაღალჩინოსანი, რომელმაც დანაშაულებრივი სისტემის შექმნაში მიიღო მონაწილეობა. ამ მოთხოვნას ყველა სტუდენტი, მათ შორის სტუდენტური თვითმმართველობაც უნდა შეუერთდეს და არ უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ ხვალინდელი აქციის მონაწილე, – აცხადებს თორნიკე კვანჭიანი.

**სანდრო ზაალიშვილი, სტუდენტი:**

– დიახ, ჩვენ ვაგრძელებთ პროტესტს. მიმაჩნია, რომ ჩვენი პროტესტი სრულიად სამართლიანია. საზოგადოებაში რომ სრული უნდობლობაა ამ ხელისუფლების მიმართ, ეს ფაქტია. ეს ისეთივე ნათელია, როგორც დღე. ამიტომ ჩვენი ხელისუფლება ვალდებულია, რადგან ის ჩვენ მიერ არის დროებით დაქირავებული, მიიღოს თამაშის ის წესები, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, ამ შემთხვევაში საზოგადოებას ვგულისხმობ. საზოგადოება, ის ადამიანები, რომლებიც მთელი ეს დღეები გამოდიან თბილისის ქუჩებში და აპროტესტებენ ამ საშინელებას. საერთოდ, საზოგადოების მეორე ნაწილიც არსებობს, რომელსაც საკუთარი სახლის ზღურბლს იქით არ აქვს არანაირი ინტერესი, რადგან ასეთი ადამანები თვლიან, რომ მათი საქმე არ არის ის, რაც გარეთ, მათ მიღმა ხდება. ისინი მცდარად, მაგრამ მაინც ფიქრობენ, რომ უკეთეს ცხოვრებას სხვა, მაგალითად, მეზობელი მოუტანს, მაგრამ, მინდა განვაცხადო, რომ ამ ვანდალური, სრულიად შემაძრწუნებელი და შოკისმომგვრელი კადრების გასვლის მერე საზოგადოება ერთიანი გახდა, იმ ადამიანებმაც ამოიღეს ხმა და თავიანთი პროტესტი დააფიქსირეს, რომლებიც საკუთარ სამზარეულოებს არ გასცდენიან. ეს სრულიად ნორმალურია. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა ერის ავადმყოფობის ნიშანი, მაგრამ არა – გადავრჩით.

**ლუკა ლორთქიფანიძე, სტუდენტი:**

– ჩვენ შევიმუშავეთ მიმართვა, რომლის ადრესატიც ხელისუფლებაა. ამ მიმართვაში ჩამოყალიბებული გვაქვს ყველა ჩვენი ნააზრევი და მოთხოვნა, რომელიც დღემდე ღიად დგას. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ყველა დამნაშავე პირი დაისაჯოს. პროტესტი გაგრძელდება მანამ, სანამ თითოეული დამნაშავე პირი კანონის უმკაცრესი ნორმით არ დაისჯება. როგორ შეიძლება, ასე გაგრძელდეს. ჩვენ ფაქტები ვნახეთ და ხელისგულზე დევს, როგორ არიან ეს ადამიანები დამნაშავეები. ჩვენ ვითხოვთ დამნაშავეების დასჯას. პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ამ ადამიანებმა, რადგან სწორედ მათ ჰქვიათ ხელისუფლება. სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა, დემოკრატიის გამოცდა მოგვიწყვეს და ჩვენ ჩავაბარეთ, ორი მინისტრი მოვხსენითო. დემოკრატიის გამოცდას კი არა, ეს ხელისუფლება ვერანაირ გამოცდას ვერ უძლებს. ის, რაც ჩვენთან მოხდა, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში რომ მომხდარიყო, არათუ ორი მინისტრი, არამედ მთელი მინისტრთა კაბინეტი გადადგებოდა, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. რა, ამ ორი მინისტრის გადადგომით აპირებენ ამ საშინელების ჩაფარცხვას?! ეს წარმოუდგენელია. ამაზე ნურც იოცნებებს სააკაშვილი. წარმოუდგენელია, ახალაიასა და კალმახელიძის გადადგომით ეს საქმე ასე ჩაიფარცხოს. ეს ორი მინისტრი, ის საშინელი კადრებიც რომ არ გვენახა, ისედაც მოსახსნელი იყო. ამდენად, მთავარია, ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს, რადგან სამართლიანია. როდესაც საზოგადოებას სამართლიანი მოთხოვნები აქვს, ის ყოველთვის შესრულდება.

---

# პარლამენტის აპარატის თანამშრომლები ქუთაისის პარლამენტში 2 ოქტომბრისთვის უნდა გამოცხადდნენ

**პარლამენტის აპარატის თანამშრომლები ქუთაისის პარლამენტში 2 ოქტომბრისთვის უნდა გამოცხადდნენ.**

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, თანამშრომლები ქუთაისში არჩევნების მეორე დღისთვის დაიბარეს. ასეთი გადაწყვეტილების არსებობა სააგენტოს პარლამენტის პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მაკა გიგაურმა დაუდასტურა, რომელმაც განმარტა, რომ ახალი პარლამენტის მუშაობის პირობების შესაქმნელად მზადება მომავალი კვირიდან დაიწყება.

„საუბარია იმის თაობაზე, რომ მას შემდეგ, რაც 1-ელი ოქტომბრის არჩევნებზე ყველა საკუთარ არჩევანს გააკეთებს, მომავალი კვირიდან – 2 ოქტომბრიდან პარლამენტის აპარატის თანამშრომლები ქუთაისში ჩამოვიდნენ და პარლამენტის მუშაობისთვის საჭირო პირობებისთვის მზადება დაიწყონ. შეიძლება ყველა 2 ოქტომბერს ქუთაისში ვერ გამოცხადდეს, მაგრამ პროცესი ამ დღიდან დაიწყება“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მაკა გიგაურმა.

ის, თუ კონკრეტულად რამდენი ადამიანი გადადის ქუთაისში პარლამენტის აპარატის 700-ზე მეტი თანამშრომლიდან და რამდენი რჩება დროებით უმუშევრად, კვლავ უცნობია. როგორც გიგაური აცხადებს, აღნიშნულ საკითხზე მკაფიო სურათი სწორედ აპარატის ქუთაისში ამოქმედების შემდეგ ჩამოყალიბდება. ამ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ ქუთაისში წასვლაზე ფორმალური თანხმობა აპარატის ძირითადმა ნაწილმა განაცხადა, თუმცა, ეს ადამიანები პირად საუბრებში არ მალავენ, რომ საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადასვლას ვერ შეძლებენ და ახალი სამსახურის მოძებნას ცდილობენ.

გუშინ კი, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობაში ბოლო ინვენტარიც გაიტანეს. შენობის დაცლა ივლისში დაიწყო. პარლამენტიდან გაიტანეს ყველა მოძრავი ქონება – ტექნიკური საშუალებები, ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები. ამასთან, ნაწილ-ნაწილ დაიშალა პირველი რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები, სადაც იატაკიც კი აყარეს და ამ დარბაზებიდან მხოლოდ კედლებია დარჩენილი. დასრულებულია პლენარულ სხდომათა დარბაზის დემონტაჟიც. პარლამენტის შენობის ფლიგელებსა და ფოიეებს შორის გასასვლელი კარებიც კი ჩამოიხსნა.

გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის კუთვნილი ქონება ფინანსთა სამინისტროს ჩაბარდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში კი კვლავ აცხადებენ, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობა ჯერჯერობით პრივატიზებული არ არის.

**ინტერპრესნიუსი**

# ჯგუფი შინ“ საზოგადოებრივ პროტესტს შეუერთდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ პროტესტს ჯგუფი „შინ“ შეუერთდა. ამის შესახებ განცხადება ჯგუფმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელიც სოციალურ ქსელში განთავსებული:



— ჯგუფ „შინ“-ის ინიციატივით წამოწყებული პროექტის – „ერთი ხმის“ პირველი ეტაპის მიზანი პოლიტიკური ნიშნით დაყოფილი საზოგადოების საერთო მორალური პრინციპებისა და ღირებულებების გარშემო გაერთიანება იყო. ბოლო დღეებში გახმაურებულმა საშინელმა ფაქტებმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა ეს მოწოდება – შესაძლებელია მხარს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას ვუჭერდეთ, მაგრამ წარმოუდგენელია განსხვავებული შეხედულება გვქონდეს სისასტიკის, ადამიანების წამებისა და ღირსების შემლახველი ქმედებების შესახებ. სწორედ ასეთი ფაქტების, უზნეობისა და დანაშაულის წინააღმდეგ უნდა გავერთიანდეთ ერთ ხმად, იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც სჩადის, გეგმავს თუ მფარველობს ამ სისასტიკეს. ჯგუფი „შინ“ და პროექტი „ერთი ხმა“ უერთდება საქართველოში მიმდინარე საპროტესტო მოძრაობას, სოლიდარობას უცხადებს სტუდენტებს, რომლებმაც გამოხატეს სამართლიანი პროტესტი ქვეყანაში გამეფებული უკანონობის წინააღმდეგ, ასევე ყველა იმ მოქალაქეს, რომელმაც, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, დაგმო ადამიანთა წამებისა და დაცინვის შემზარავი ფაქტები.“

ჯგუფი „შინ“ ბოლო დროს პროექტის „ერთი ხმა“ ფარგლებში საქართველოს ქალაქებში კონცერტებს მართავდა. ერთ-ერთი ბოლო კონცერტი ჯგუფმა ქუთაისში დაგეგმა. ჯგუფთან ერთად ანჩისხატის მგალობელთა გუნდისა და ქართული ესტრადის სხვა მომღერლების გამოსვლა გადაწყდა. კონცერტის ორგანიზატორის სანდრო ყანჩაველის თქმით, კონცერტი ქუთაისში ბალახვანზე დაიგეგმა.

— ჩვენ კონცერტის ჩატარება ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მოვითხოვეთ, თუმცა ქუთაისის მერიამ უარი განგვიცხადა. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ კონცერტი ბალახვანზე ჩატარებულიყო. უნდა ითქვას, რომ ანალოგიურ პრობლემებს თითქმის ყველა ქალაქში ვაწყდებით. ამის მიუხედავად, „შინ“-თან ერთად კონცერტში გაერთიანდნენ ანსამბლი „ფორტე“, თამარ ჭოხონელიძე, ნატო მეტონიძე, ანსამბლი „შავლეგო“ და ანჩისხატის მგალობელთა გუნდი. ბევრი მომღერალია, რომელიც მხარს გვიჭერს, თუმცა ამას ჩუმად აკეთებს, – აცხადებს პროექტის ორგანიზატორი.

ჯგუფ „შინის“ მსგავსად საპროტესტო აქციებს მხარდაჭერა გამოუცხადეს ამერიკელმა მუსიკოსებმა. ერთ-ერთი ამერიკელი მუსიკოსი აქციაზე სიტყვითაც გამოვიდა და განაცხადა, რომ ის გმობს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რაც საქართველოში ხდება და თანადგომას უცხადებს როგორც საქართველოს, ასევე ქართველ პატიმრებს. აქციაზე მწერალმა და უფლებათადამცველმა ირაკლი კაკაბაძემ კი განაცხადა, რომ ამერიკელი მუსიკოსები საქართველოში უსასყიდლოდ ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ ქართველ ხალხს დაუდგნენ გვერდში.

# უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით განმენდილ ორგანიზმი, ალაგებდა ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# თეატრის კრიტიკოსებმა ქართული სპექტაკლები შეაფასეს

ეკა ირემაშვილი

**თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში „შერატონ მეტეხი პალასში“ თეატრის კრიტიკოსები შეიკრიბნენ და მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმს უმასპინძლეს.**

— თბილისის საერთაშორისო ფესტივალის, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირისა და თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექციის ინიციატივითა და ხელშეწყობით სასტუმრო შერატონის პიანო ბარის დარბაზში გაიმართა ორი საერთაშორისო ღონისძიება: – დილის შეხვედრის შემდეგ ჩატარდა საერთაშორისო კოლოქვიუმი: „XXI საუკუნე აღმოსავლეთ ევროპის თეატრი დროსთან და დროის წინააღმდეგ“. ქართველმა კრიტიკოსებმა უცხოელ კოლეგებთან ერთად აღნიშნეს ცნობილი შვედი დრამატურგის აუგუსტ სტრინდბერგის 100 წლისთავი, სადაც მომხსნებელი გახლდათ პროფესორი მარგარეტა სორენსონი და წაიკითხეს მოხსენებები თანამედროვე ევროპული თეატრის განვითარების ტენდენციებზე, რეჟისორებსა და გახმაურებულ სპექტაკლებზე. ამ ღონისძიების ფარგლებში შედგა დისკუსია ქართული სპექტაკლების შოუქეისის ირგვლივ, რომელშიც, აგრეთვე, მონაწილეობას იღებდნენ კრიტიკოსები რუმინეთიდან, შვედეთიდან, პოლონეთიდან, ირანიდან, საფრანგეთიდან, ინდოეთიდან, ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, – განაცხადა თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა.

თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი და დისკუსია პროფესიონალ კრიტიკოსთა შორის დიალოგის გაგრძელებაა.

— ეს შეხვედრა მოსაზრებათა, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და თეატრალურ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ირგვლივ მსჯელობის და კამათის კარგი საშუალებაა. ჩვენს სურვილს წარმოადგენდა ქართული თეატრის მოღვაწეების – რეჟისორების, მსახიობების, თეატრის სხვა პროფესიონალების და, რა თქმა უნდა, მოყვარულების ამ შეხვედრებში აქტიურ მონაწილეობას, – განაცხადა თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის ხელმძღვანელმა ირინა ღოღობერიძემ.

ორივე ღონისძიება უზრუნველყოფილ იქნა სინქრონული თარგმანით. პირველ სესიას თავმჯდომარეობდნენ მარგარეტა სორენსენი (შვედეთი) და ირინა ღოღობერიძე (საქართველო), რომელმაც შესავალი სიტყვა წარმოთქვა. მარგარეტა სორენსენმა ავგუსტ სტრინბერგის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით ისაუბრა. ანჟელინა როშკამ მოლდოვადან ისაუბრა თემაზე „XXI საუკუნე პროვოკატიულობა დამოუკიდებელ მოლდოვურ თეატრში აღმოსავლეთ ევროპის თეატრების კონტექსტში“, დავით ბუხრიკიძემ შეკრებილ საზოგადოებას შესთავაზა მოხსენება „როგორ მოვკლათ ევროპელი: კრისტოფ მარტალერი თეატრალური რეფლექცია აღმოსავლეთ-დასავლეთ ბერლინის საზღვარზე“, რუმინეთის წარმომადგენელმა ლუდმილა პატლანჯოგლუმ ყურადღება გაამახვილა „კრიზისის სინდრომი და დოქტორ ჩეხოვი, ანდრეი სჩერბანის ტრიპტიხი“, ინა ბეზირგანოვამ მიმოიხილა „რუსული კლასიკა ქართულ სცენაზე: ახალი ტენდენციები“, რომელიც რუსულ ენაზე იქნა წარმოდგენილი.

მეორე სესიას ლუდმილა პატლანჯოგლუ (რუმინეთი) და ირინა ღოღობერიძე (საქართველო) თავმჯდომარეობდნენ. პოლონელმა კონრად ჩშებიოტმა წარმოადგინა „მოგზაურობა ღრმა მრავალფეროვნებაში“, ლაშა ჩხარტიშვილმა „ცენზურა და თვით-ცენზურა პოსტ-საბჭოთა ქართულ თეატრში“, რავინდერ კაულიმ ინდოეთიდან „კლასიკური სანსკრიტული დრამის გავლენა გროტოვკის თეატრზე“, მანანა გეგეჭკორმა „ქართული თანამედროვე დრამატურგიის ძირითადი ტენდენციები“, თამარ კიკნაველიძემ „აგვისტოს ომი ქართულ დრამატურგიაში“, გიორგი ყაჯრიშვილმა „ახალი ქართული თეატრი: ბოლო სეზონის ტენდენციები“.

სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში ჩატარდა ქართული პროგრამის განხილვა. სამი დღის განმავლობაში თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სპექტაკლები როგორც თბილისის, ასევე საქართველოს რეგიონების თეატრების მიერ.

რიგით მეოთხე თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე რუსთაველის თეატრმა წარმოადგინა როგორც უკვე რეპერტუარში მყოფი სპექტაკლები, ასევე პრემიერები. რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გათამაშდა ჰეტი ნეილორის „ივანე და ძაღლები“, ჟან დელისა და ჟერალდ სიბლეირასის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „გაუმარჯოს ბუშონს“, შედგა პრემიერა სპექტაკლისა „მაგრიტის შემდეგ“, რომელიც რეჟისორმა გიორგი თავაძემ დადგა. მორიგი სპექტაკლი, რომელიც ფესტივალის ფარგლებში გათამაშდა „შეშლილი სამყაროა“. ეს სპექტაკლი იუკიო მისიმასა და პიტერ ვაისის მიხედვით ნინო ლიპარტიანმა განახორციელა. მარჯანიშვილის თეატრიდან ფესტივალის ფარგლებში მოხვდა თითების თეატრის სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“. ფესტივალის ფარგლებში შედგა ლევან წულაძის მიერ სპეციალურად შექსპირის ფესტივალისთვის დადგმული უილიამ შექსპირის „როგორც გენებოთ“ თბილისური პრემიერა. თავისუფალმა თეატრმა ფესტივალში ორი სპექტაკლი ჩართო – ავთო ვარსიმაშვილის მიერ დადმგული „მექანიკური ფორთოხალი“ და ვანო ხუციშვილის მიერ განხორციელებული „საძაღლე“. ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატურგიული თეატრი ფესტივალზე ლევ ტოლსტოის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლით „ხოლსტომერი. ცხენის ისტორია“ წარდგა. ამავე თეატრმა ვალერი ხარიუტჩენკოს მიერ დადგმული სპექტაკლი „მისტიური ღამე სერგეი ესენინთან ანუ ნახტომი თავის თავში“ წარმოადგინა. სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი ფესტივალში სპექტაკლებით „ვაჟა“ და „პანთეონი“ ჩაერთო. სამეფო უბნის თეატრმა ფესტივალში ჩართვა პრემიერით გადაწყვიტა. რეჟისორმა დათა თავაძემ თეატრის მოყვარულ საზოგადოებას წარუდგინა აუგუსტ სტრინდბერგის „ფრეკენ ჟული“. ნიკა თავაძემ თეატრის მოყვარულ საზოგადოებას სპექტაკლი „სტრიპტიზი“ შესთავაზა, სადაც დათა თავაძე და პაატა ინაური მონაწილეობენ. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა ფესტივალზე დებიუტანტი რეჟისორის რუსუდან ბოლქვაძის მიერ განხორციელებული სპექტაკლი „ზვავი“ წარმოადგინა, რომელიც თუნჯერ ჯუჯენოღლუს მიხედვით არის დადგმული. ფესტივალის ფარგლებში „სუფთა სახლიც“ გათამაშდა, რომლის რეჟისორიც ახალგაზრდა ნინო ჩაკვეტაძეა. მესამე სპექტაკლად კი კინომსახიობთა თეატრმა საფესტივალოდ მიხეილ მარმარინოსის მიერ დადგმული შექსპირის უკვდავი პიესა „რომეო და ჯულიეტა“ შეარჩია. ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრმა ფესტივალის ფარგლებში გოგა ქაჩიბაიას მიერ დადგმული „სტუმარი“ გაათამაშა. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ფესტივალზე წარმოდგენილი იყო პროსპერ მერიმეს მიხედვით დადგმული ქორეოგრაფიული დრამით „კარმენი“, რომელიც მუვინგ თეატრის (დიდი ბრიტანეთი) და ევროკავშირის განათლებისა და კულტურის პროგრამების საერთაშორისო პროექტის ფარგლებში განხორციელდა. მეორე სპექტაკლი, რომელიც ამ თეატრმა ფესტივალის პროგრამაში ჩართო „ფსიქოზი 4:48“-ა. პანტომიმის თეატრმა ფესტივალზე „პროლოგი“ გაითამაშა. მისი რეჟისორი უმცროსი ამირან შალიკაშვილია. შოთა რუსთაველის თე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC
LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# ადგილები გადანაწილდა

ფიბა-ევროპამ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის წინ, გუნდები კალათებში გადაანაწილა და როგორც მოსალოდნელი გახლდათ, საქართველოს ნაკრებს ადგილი მე-5 დონეზე მიუჩინა.

უკვე გარკვეული იყო, რომ მოწინავე კალათაში ნაკრებები გასულ ევრობასკეტზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადანაწილდებოდნენ. აქედან გამომდინარე პირველ კალათაში ადგილები ევროპის ჩემპიონ ესპანეთს, ფინალისტ საფრანგეთს და მესამე-მეოთხე ადგილოსნებს, რუსეთსა და მაკედონიას ერგოთ.

მეორე კალათაში ევროპის პირველობაზე მე-5 საფეხურზე გასული ლიტვა, მე-6 ადგილოსანი საბერძნეთი, მომავალი ევრობასკეტის მასპინძელი სლოვენია და გასული ოლიმპიადის მასპინძელი დიდი ბრიტანეთი მოხვდნენ.

გასარკვევი იყო დანარჩენ კალათებში გუნდების გადანაწილების საკითხი. მომდევნო კალათიდან ნაკრებები უკვე 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში ნაჩვენები შედეგების შესაბამისად დალაგდნენ.

ფაქტობრივად, მესამე კალათის ამბავიც გარკვეული იყო – იტალიამ, ხორვატიამ, გერმანიამ და მონტენეგრომ ეს ეტაპი დაუმარცხებლად განვლეს და მე-3 კალათაშიც აღმოჩნდნენ.

მე-4 კალათაში ის გუნდები მოხვდნენ, რომელთაც საქართველოს დარი მოგება-წაგებათა ბალანსი ჰქონდათ, თუმცა, ჩვენს გუნდს ბურთების შეფარდებით აჯობეს. ესენი არიან – ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა და ბოსნია-ჰერცეგოვინა.

მე-5 კალათაში საქართველო, ბელგიას, ლატვიას და თურქეთი მოხვდა, ხოლო ბოლო, მე-6 კალათაში – ჩეხეთი, სერბეთი, ისრაელი და შვედეთი აღმოჩნდნენ.

როგორც ხედავთ, მე-5 და მე-6 კალათებში მეოთხეზე ძლიერი თუ არა სუსტი ნაკრებები ნამდვილად არ არიან განთესილნი, ამდენად, იმაზე, რომ ზედა კალათაში ვერ მოვხვდით, ალბათ, გული დიდად არც უნდა დაგვწყდეს.

რაც შეეხება რეგლამენს: ფინალურ რაუნდში 24 ნაკრები ოთხ 6-გუნდიან ჯგუფში გადანაწილდება, რომელთაგან სამ-სამი საუკეთესო მე-2 ჯგუფურ ეტაპზე გავა. ეს 12 გუნდი უკვე ორ ჯგუფად დაიყოფა, პირველ-მეოთხე ადგილოსნები კი ერთმანეთს მეოთხედფინალში დაუპირისპირდებიან და ასპარეზობას ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ.

შეგახსენებთ, რომ ევრობასკეტი 2013 წლის 4-22 სექტემბერს სლოვენიის ოთხ ქალაქსა და ხუთ არენაზე შედგება. პირველი რაუნდის მატჩებს ცელიეს „ზლატოროგ არენა" (5 150 მაყურებელი), ლიუბლიანას „ტივოლი ჰოლი" (6 000), კოპერის „ბონიფიკა ჰოლი" (4 500) და იესენიცეს „პოდმეჟაკლა ჰოლი" (5 500) უმასპინძლებენ, ხოლო მე-2 რაუნდი მთლიანად ლიუბლიანას „არენა სტოჟიცეზე" (12 480) შედგება.

ევრობასკეტის კენჭისყრა 18 ნოემბერს გაიმართება. ამ ღონისძიებას პოსტოინას საქვეყნოდ ცნობილი მღვიმე უმასპინძლებს, სადაც სპეციალური სააქტო დარბაზია აშენებული.

# ლიდერები კარგავენ, დილა აგროვებს

### ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი 2:3

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

**0:1 წინამძღვრიშვილი (18), 1:1 ჩიმაკაძე (43), 1:2 სარდალიშვილი (54), 2:2 ჩიმაკაძე (90), 2:3 წინამძღვრიშვილი (90)**

**ვიტ ჯორჯია**: დაუშვილი, ხურცილავა, გოგიაშვილი, გეთიაშვილი, ღანიაშვილი, კასრაძე (ლობჟანიძე 57), ვასაძე, გურეშიძე, კორიფაძე (ზაქრაძე 85), დავლაშელიძე (ჯულელი 46), ჩიმაკაძე

**ზესტაფონი**: რ.კვასხვაძე, ლონლაძე, კაჭკაჭიშვილი, კობახიძე, თედო გრიგალაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, შარიქაძე (ელიავა 46), რაჟამაშვილი (შარვაძე 86), სარდალიშვილი (ჭანტურიშვილი 70), წინამძღვრიშვილი

94-ე წუთი იყო, როცა რატი წინამძღვრიშვილმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა და იმერულ გუნდს 3 ქულა მოუტანა. არადა, მასპინძლებმაც კარგად ითამაშეს, ორჯერ გაშვებული ორჯერ გაათანაბრეს და არც ხარისხობრივად ჩამორჩნენ ზესტაფონელებს.

მატჩის პირველი წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, გუნდები ტერიტორიისა და სათამაშო უპირატესობის დასაუფლებლად თავდაუზოგავად იბრძოდნენ. თანაბარი თამაშში პირველი ხიფათი „ვიტ ჯორჯიამ" შექმნა – კორიფაძის გარღვევას დავლაშელიძის დარტყმა მოჰყვა, რომლის აღება როინ კვასხვაძეს არ გასჭირვებია. პირველი გოლი კი, სტუმრებმა გაიტანეს – 18-ე წუთზე ზესტაფონელთა სწრაფი იერიში, რომელიც ლევან შარიქაძემ წამოიწყო, რატი წინამძღვრიშვილის ვეტერინართა გოლკიპერ ნიკა დაუშვილთან პირისპირ გასვლითა და კარის აღებით დასრულდა.



ამის შემდეგ სტუმართა უპირატესობა გამოიკვეთა და მალევე, რატის კარგი პასის შემდეგ, კარგ დასარტყმელ პოზიციაზე მიშიკო სარდალიშვილი გავიდა, თუმცა მისი დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა. სამაგიეროდ, ვეტერინარებმა თავის პირველივე შანსი გოლად აქციეს – 43-ე წუთზე შეტევის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული როინ კვასხვაძის კარში ბესიკ ჩიმაკაძემ თავით გადაგზავნა.

54-ე წუთზე, „ზესტაფონი" მეორედ დაწინაურდა – თორნიკე გრიგალაშვილი მარჯვნიდან გაიჭრა, დაბალი ტრაექტორიის ბურთი ჩააწოდა, რომელიც სარდალიშვილმა მიიღო და მისი დარტყმული რიკოშეტის შედეგად შევარდა კარში – 1:2.

მასპინძლებმა მატჩის გადასარჩენად გაიწიეს და ერთ ეპიზოდში ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან – გიორგი ვასაძის მიერ ზესტაფონელთა საჯარიმოს მისადგომების სიახლოვიდან დარტყმული სტუმართა კარის ხარიხამ მოიგერია.

მატჩის არბიტრის მიერ დამატებულ პირველ წუთზე კი ბესიკ ჩიმაკაძემ ანგარიშის კიდევ ერთხელ გათანაბრება მაინც მოახერხა. ზესტაფონელები ბოლო იერიშზე გადავიდნენ და, მათთვის სასიხარულოდ, ეს მცდელობა შედეგიანი აღმოჩნდა – ამ ეპიზოდში თორნიკე გრიგალაშვილსა და თეიმურაზ ღონღაძეს შეუძლიათ ფლანგზე სწრაფად გათამაშებული კომბინაციით მოიწონონ თავი, გამარჯვების გოლი კი რატი წინამძღვრიშვილის ანგარიშზეა. იმერელთა მძიმე და ორმაგად მნიშვნელოვანი გამარჯვება ანგარიშით 3:2.

### მატჩის შემდეგ

**დავით მუჯირი, ზესტაფონი:**

– შევდივარ მეტოქის მდგომარეობაში. რთულია, როცა ბოლო წუთზე ათანაბრებ და მაინც აგებ. „ვიტ ჯორჯიამ" ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა. საბოლოოდ, იღბალი ჩვენს მხარეს აღმოჩნდა. 4 ძირითადი ნახევარმცველი გვაკლდა – აფციაური შეუძლოდ იყო, მენთეშაშვილის ხელოვნურ მოედანზე გამოყვანას მოვერიდეთ, ხოლო გორგიაშვილსა და მილხრაუმს მანამდეც ტრავმა ჰქონდათ. გორგიაშვილის გამოჯანმრთელებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მილხრაუმი კი ერთ კვირაში სრული დატვირთვით დაიწყებს. დღეს ორი იძულებითი შეცვლაც გავაკეთეთ. საკადრო პრობლემები გვაქვს, მაგრამ ვეცდებით, ტიტული დავიცვათ. მომავალს იმედიანად ვუყურებთ.

**მერაბ კოჭლაშვილი, ვიტ-ჯორჯია:**

– რა უნდა ვთქვა, როცა მე-2 ტაიმში გაშვებული ორივე გოლისას, შეტევები ჩვენ დავიწყეთ. 2:2-ისას მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ჩვენმა ზურგით მდგომმა ფორვარდმა ბურთი ვერ დაუტოვა თანაგუნდელს. დასანანი მარცხია. წაგებას არ ვიმსახურებდით. პასუხისმგებლობას მთლიანად ჩემს თავზე ვიღებ. „ზესტაფონს" კი, გამარჯვებას ვულოცავ.

### ჩიხურა – დინამო(თბ) 0:0

**ივანწმინდა. ცენტრალური**

**ჩიხურა**: სომხიშვილი, ბერიანიძე, ჭელიძე (ძამსაშვილი 82), მურველაშვილი, ჩიკვაიძე, დიღმელაშვილი, ლომაშვილი, მუმლაძე (ბაკურაძე 70), კირკიტაძე, გოცირიძე, დეკანოიძე

**დინამო**: ზარქუა, ხიზანეიშვილი, რეხვიაშვილი, ძარია, ხმალაძე, კვარაცხელია, სეთურიძე, ლექვთაძე (ტვილდიანი 70), მერებაშვილი, ალვარო (ვოსკობოინიკოვი 82), ჩისკო (დვალი 20)

საჩხერელებმა პირველი ტაიმი უკეთესად ჩაატარეს. მართალია, ბურთს უფრო ხშირად სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ ხიფათი უფრო მათ კართან იქმნებოდა. აქტიურები იყვნენ დავით კირკიტაძე და რევაზ გოცირიძე.

მე-2 ტაიმში დინამოელებმა გამოასწორეს თამაში, თუმცა, ორივე კართან ნახევარმომენტები უფრო იქმნებოდა, ვიდრე რეალური ხიფათი. აი, ბოლო წუთზე კი, დინამოელებს სუპერმომენტი შეექმნათ, რომელიც ჯაბა დვალმა ვერ გამოიყენა.

### დილა – მეტალურგი 3:0

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 კვირკველია (21), 2:0 მოდებაძე (60), 3:0 ბეჭვაია (86)**

**დილა**: სკენდერი, კვირკველია, თომაშვილი, გ.ონიანი, შაშიაშვილი, ბეჭვაია, არზიანი (ხოჯავა 64), გოგუა, გურული, კახელიშვილი (კლიმიაშვილი 62), მოდებაძე (ახალკაცი 84)

**მეტალურგი**: ჰოსმანი, გავაშელიშვილი, განუგრავა, დობროვოლსკი (ქავთარაძე 68), თექთურმანიძე (ლობჟანიძე 68), ჯაფარიძე, რაზმაძე, სუხიაშვილი, მახვილაძე, ტატანაშვილი, გეწაძე

გიორგი დარასელიას მისვლის შემდეგ „დილამ" 3 მატჩი ჩაატარა და სამივე მოიგო. ამასთან, ყველა ფავორიტთან – თბილისის „დინამოსთან" (2:0), „ზესტაფონთან" (1:0) და „მეტალურგთან" (3:0).

„დილას" შემადგენლობიდან გამომდინარე, ეს მოულოდნელიც არ ყოფილა. მართალია, გუნდმა სეზონის სტარტი ჩააგდო, მაგრამ სწორედ ის თამაში დაიწყო, რომელსაც სპეციალისტები ელოდნენ.

რუსთაველებს პირველი გოლი დათო კვირკველიამ გაუტანა, მეორე – ყოფილმა მეტალურგელმა ირაკლი მოდებაძემ, საბოლოო წერტილი კი, გიგა ბეჭვაიამ ულამაზესი დარტყმით დასვა.

### კოლხეთი – ტორპედო 1:1

**ფოთი. ფაზისი**

**1:0 ცხვიტარია (20), 1:1 დათუნაიშვილი (45)**

**კოლხეთი**: მიქაბერიძე, კილასონია, ცხვიტარია, ფარულავა, გაბუნია, გოგონაია, ცხადაია (მოსიაშვილი 46), ქებაძე, პ.დათუნაიშვილი, პავლიაშვილი (კობერიძე 83), კვანტალიანი (ზვ. ჩხეტიანი 90)

**ტორპედო**: მიგინეიშვილი, კვახაძე, ზ.ჭელიძე, რიგვავა, გ. გურული, ფირცხალავა (საბანაძე 46), გ.დათუნაიშვილი, კუხიანიძე, ე.გრიგალაშვილი, ვ.ბოლქვაძე (დოლიძე 73), ბერიაშვილი (ფანცულაია 81)

ფავორიტება ქუთაისლები კი მიიჩნეოდნენ, მაგრამ ბოლოსწინა ადგილზე მყოფ ფოთელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და თამამადაც ითამაშეს, რამაც შედეგი გამოიღო და ქულის მოპოვება მოახერხეს.

ანგარიში პაატა ცხვიტარიამ გახსნა, რომელიც ტაიმის ბოლოს გიორგი დათუნაიშვილმა გაათანაბრა. მანამდე „კოლხეთმა" ბურთი ხარიხასაც გაარტყა. მომენტი სტუმრებსაც ჰქონდათ.

მოსაგებად გუნდები მე-2 ტაიმშიც იბრძოდნენ და ერთ მომენტში გოლიც გავიდა, მაგრამ გრიგოლ დოლიძეს მსაჯებმა თამაშგარე დაუფიქსირეს. როგორც იტყვიან, საბრძოლო ფრე – 1:1.

### დინამო(ბთ) – მერანი 4:0

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**1:0,2:0 ჯორბენაძე (8,83), 3:0 მუჯირი (87) 4:0 ჯორბენაძე (90)**

**დინამო:** შენგელია, ქორიძე, ხუხია, ლობჟანიძე, გოგიტიძე, ი.კვეკვესკირი, მახარაძე (სიჭინავა 77), ტიმჩიშინი (ბალაძე 73) ჯორბენაძე, ბერიძე, თევდორაძე (ა.მუჯირი 80)

**მერანი**: შეროზია, გეგეჭკორი, ჟვანია, იობაშვილი, მჭედლიშვილი, დიდავა, ნოზაძე (ტორონჯაძე 46), ფონიავა, ს.ლომია (ქარქუზაშვილი 72), რეხვიაშვილი, ამბროლაძე (ბუკია 67)

**გაძევება**: მჭედლიშვილი (69)

ფეხბედნიერი გამოდგა „ჩელე არენა" ბათუმელებისთვის. სწორედ რევაზ ჩელებაძის სახელი ეწოდა ქობულეთის სტადიონს, რომელიც „დინამოს" საშინაო არენად ჩაითვლება.

მასპინძლებმა უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვეს, ამასთან საკმაოდ შთამბეჭდავიც.

ჰეთ-ტრიკი შეასრულა მიხეილ ჯორბენაძემ, ერთი გოლი კი ვეტერანი ამირამ მუჯირის ანგარიშზეა.

**რევაზ ჩელებაძე:**

– თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი, ძალიან დიდი პატივი დამდეს. ამაზე გასახარი რა უნდა მოხდეს, ეს სიცოცხლეში ძეგლის დადგმას ნიშნავს. ვეცდები, ცხოვრების ბოლომდე ალალად ვემსახურო ფეხბურთს.

### სიონი – ზუგდიდი 0:0

**ბოლნისი. „თამაზ სტეფანია"**

**სიონი**: ბობლიაშვილი, ქემოკლიძე, სვანიძე, ორბელაძე, ჩიკვილაძე, ოქროპირიძე, თარხნიშვილი, ჭანკოტაძე (მანწკავა 55), ფეიქრიშვილი (ქუცურუა 61), ჭედია (ისიანი 68), უგულავა

**ზუგდიდი**: ძაგანია, ფოფხაძე, აკობია, თოდუა, გამეზარდაშვილი, დ.ბოლქვაძე (გუგუჩია 75), ტყემალაძე, სიხარულია, კუტალია (რ.ონიანი 76), შ.ლომია (კუკავა 85), ქობალია

ორივე გუნდმა გახსნილი თამაში უჩვენა და სახიფათო მომენტებიც ხშირი იყო. თუმცა, ამასთან ხისტი, რისი დასტურიც 7 ყვითელი ბარათია.

პირველ ტაიმში სტუმრები უფრო აქტიურობდნენ, მეორეში ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ. ბოლო წუთზე სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯმა არ დანიშნა და გუნდებიც უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტორპედო | 7 | 5 | 1 | 1 | 18:5 | 16 |
| 2.დინამო (თბ) | 7 | 5 | 1 | 1 | 17:4 | 16 |
| 3.ჩიხურა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 |
| 4.მეტალურგი | 7 | 4 | 0 | 3 | 6:9 | 12 |
| 5.დილა | 7 | 3 | 1 | 3 | 10:7 | 10 |
| 6.ზესტაფონი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:6 | 10 |
| 7.ზუგდიდი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:4 | 10 |
| 8.მერანი | 7 | 3 | 0 | 4 | 4:12 | 9 |
| 9.სიონი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 |
| 10.დინამო (ბთ) | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |
| 11.ვიტ ჯორჯია | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | 5 |
| 12.კოლხეთი | 7 | 0 | 3 | 4 | 3:13 | 3 |

ბომბარდირები: მიხეილ ჯორბენაძე (დინამო, ბთ) – 5 ბურთი; ჯაბა დვალი, ჩისკო (ორივე დინამო, თბ), რევაზ ჯიქია (სიონი) – 4-4; ალვარო (დინამო, თბ), დავით ოდიკაძე (ჩიხურა), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი), გიორგი კუხიანიძე, ნიკა საბანაძე (ორივე ტორპედო).

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. ლიგის თასი

არსენალი-ქოვენთრი ........ 6:1
კარლაილი-ტოტენჰემი ........ 0:3
ქპრ-რედინგი ........ 2:3
მანჩესტერი-ნიუკასლი ........ 2:1
ნორვიჩი-დონკასტერი ........ 1:0
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული ........ 1:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბეტისი-ატლეტიკო ........ 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 14:3 | 15 |
| 2.ატლეტიკო | 5 | 4 | 1 | 0 | 15:7 | 13 |
| 3.მალიორკა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| 4.მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| 5.სევილია | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| 6.ბეტისი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:9 | 9 |
| 7.რეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| 8.რაიო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| 9.ლევანტე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| 10.დეპორტივო | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| 11.სელტა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| 12.სარაგოსა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| 13.ვალიადოლიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| 14.სოსიედადი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 6 |
| 15.ვალენსია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| 16.ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 8:12 | 5 |
| 17.ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| 18.გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| 19.ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 7:11 | 1 |
| 20.ოსასუნა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

### იტალია. სერია ა

პესკარა-პალერმო ........ 1:0
ჯენოა-პარმა ........ 1:1
კატანია-ატალანტა ........ 2:1
კიევო-ინტერი ........ 0:2
მილანი-კალიარი ........ 2:0
ნაპოლი-ლაციო ........ 3:0
რომა-სამპდორია ........ 1:1
ტორინო-უდინეზე ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| 2.ნაპოლი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 12 |
| 3.სამპდორია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 10 |
| 4.ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| 5.ლაციო | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 |
| 6.რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 11:7 | 8 |
| 7.ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| 8.ჯენოა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 9.კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| 10.მილანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:5 | 6 |
| 11.ტორინო | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 5 |
| 12.ატალანტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 5 |
| 13.პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| 14.უდინეზე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| 15.ბოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 16.პესკარა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| 17.კიევო | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |
| 18.კალიარი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |
| 19.პალერმო | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |
| 20.სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | -1 |

*შენიშვნა:*

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ლევერკუზენი ........ 1:3
გლადბახი-ჰამბურგი ........ 2:2
ჰანოვერი-ნიურნბერგი ........ 4:1
ფრაიბურგი-ვერდერი ........ 1:2
შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 17:2 | 15 |
| 2.აინტრახტი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:7 | 13 |
| 3.ჰანოვერი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 10 |
| 4.შალკე | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| 5.ფორტუნა | 5 | 2 | 3 | 0 | 4:0 | 9 |
| 6.დორტმუნდი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | 8 |
| 7.ვერდერი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| 8.ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 9.ნიურნბერგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| 10.გლადბახი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:12 | 6 |
| 12.ფრაიბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| 13.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:8 | 5 |
| 14.ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| 15.მაინცი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| 16.ფიურტი | 5 | 1 | 1 | 5 | 2:8 | 4 |
| 17.შტუტგარტი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | 2 |
| 18.აუგსბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგო-დუისბურგი ........ 3:0
ჰერტა-დინამო ........ 1:0
აუე-უნიონი ........ 1:1
ინგოლშტადი-მიუნხენ 1860 ........ 0:2

### საფრანგეთი. ლიგის თასი

ბრესტი-ნიცა ........ 2:4
არლე-აიაჩო ........ 2:1
კანი-ტულუზა ........ 0:1
ლორიენი-სენტ ეტიენი ........ 1:1(0:3პ)
მონაკო-ვალანსიანი ........ 4:2(დდ)
რეიმსი-ტრუა ........ 1:2
სოშო-ევიანი ........ 3:2(დდ)

### შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-ლოზანა ........ 0:1
ციურიხი-სტ.გალენი ........ 0:2
ბაზელი-სიონი ........ 4:1

### პოლონეთი. თასი

პიასტი-ლეგია ........ 1:2
შლიონსკი-ბელხატუვი ........ 3:0

### შვედეთი. ალსვენსკა

ატვიდაბერგი-დიურგარდენი ........ 2:1
მილაბი-კალმარი ........ 1:0
სუნდსვალდი-გეფლე ........ 0:1
იორებრო-ნორჩიოპინგი ........ 0:1
აიკი-ელფსბორგი ........ 1:1

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

მარიეჰამნი-ლახტი ........ 2:2
მიუპა-ჰაკა ........ 1:0
ტპს-ვაასა ........ 1:0
ჰიკი-კუუპიო ........ 4:1
ჯჯკ-ინტერი ........ 0:0
იარო-ჰონკა ........ 1:0

### ბრაზილია. სერია ა

ფლამენგო-ატლეტიკო(მ) ........ 2:1

## ჩოგბურთი

### აშშ. ბანგკოკი. ჰაჩი

სიმონი-სოედა ........ 6:4;6:4
ტომიჩი-სელა ........ 4:6;6:3;6:4

### ჰკა. ტოკიო. ჰაჩი

ერანი-პეტროვა ........ 6:3;5:7;3:6
შარაპოვა-სტოსური ........ 4:6;6:7

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## თბილისის საკრებულოს წევრები და ვარძელაშვილის უწყების თანამშრომელი ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერას უცხადებენ

თბილისის საკრებულოს წევრი, ქვემო სამგორის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიხიაშვილი, ასევე თბილისის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის წევრი მიხეილ ქავთარაძე და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ზოდიკო ფარქოსაძე „ქართულ ოცნებას“ უერთდებიან. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ საჯარო მოხელეებმა თანამდებობა პროტესტის ნიშნად დატოვეს. მმართველი გუნდის ყოფილ წევრებს „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი შეხვდა.

— ამ ადამიანებმა ღირსეული ნაბიჯი გადადგეს და ამით აჩვენეს, რომ ისინი სამშობლოს სამსახურში დგანან, — განაცხადა ივანიშვილმა.

**ნიუსპრესი**

# მის საქართველო 2012“ თამთა შედანია გახდა

ეკა ირემაშვილი



სილამაზის კონკურსი „მის საქართველო 2012“ წელს ბათუმის ნაცვლად ახალციხეში განახლებული რაბათის ტერიტორიაზე ჩატარდა და გამარჯვებულიც გამოვლინდა. წელს „მის საქართველო“ იუბილარი იყო, მას დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა, ამიტომ მისმა ორგანიზატორებმა განსხვავებული წესებით იხელმძღვანელეს.

ფინალისთვის დატოვებული 20 კონკურსანტიდან ჟიურის წევრებმა ტოპ ხუთეულის მაგივრად, ტოპ ათეული დაასახელეს, საიდანაც ტოპ სამეული შეირჩა.

წელს კონკურსში 17-დან 25 წლამდე გოგონები მონაწილეობდნენ თბილისიდან, თელავიდან, ზუგდიდიდან, ჭიათურიდან, ქუთაისიდან, ახალციხიდან, ზესტაფონიდან, გორიდან და ფოთიდან — თათია ჭიტაძე, თამთა შედანია, მარიამ მოსეშვილი, ვერონიკა ჩიხლაძე, ნინო მახარაძე, მარიამ ბუთურიშვილი, ანი ოქროპირიძე, ირინა ზადიმენჩენკო, დიანა ქიმაძე, მარიამ კვახაჯელიძე, თაკო შუბითიძე, ანთისა ბუცხრიკიძე, ანი არაბიძე, ანი ცერცვაძე, ნატო ენუქიძე, ლილე სახელაშვილი, იკი ჩხაიძე, თამარ ნეფარიძე, ლიკა მეტრეველი და ხატია თათრიშვილი.

„მის საქართველო 2012“ ზუგდიდელი 20 წლის თამთა შედანია გახდა. ეს ის თამთა შედანიაა, რომელიც „ელიტ მოდელ ლუქის“ გამარჯვებულია და უცხოეთში უკვე საკმაოდ დიდი წარმატებით მოღვაწეობს. დანარჩენი ნომინაციები ჟიურის მიერ კი ასე გადანაწილდა — პირველი ვიცე მის საქართველო 2012 ლიკა მეტრეველი (თელავი), მეორე ვიცე მის საქართველო 2012 ნინი მახარაძე (თბილისი), მესამე ვიცე მის საქართველო 2012 მარიამ ბუთურიშვილი (თბილისი), მეოთხე ვიცე მის საქართველო 2012 დიანა ქიმაძე (თბილისი), „მის მეგობრობა“ და „მის ინტელექტი“ თათია ჭიტაძე (თბილისი), „მის ფოტოგენურობა“ ანთისა ბუცხრიკიძე (თბილისი), „მის ტელეგენურობა“ მარიამ მოსეშვილი (თბილისი), „მის ექსტრავაგანტულობა“ იკი ჩხაიძე (თბილისი), „მის მოდელი“ ირინა ზადიმენჩენკო (თბილისი), „მის ელეგანტურობა“ ანი არაბიძე (თბილისი), „მის გრაცია“ თამარ ნეფარიძე (ჭიათურა), „მის მომხიბვლელობა“ ლილე სახელაშვილი (ქუთაისი), „მის ბიკინი“ თაკო შუბითიძე (თბილისი), „ხალხის რჩეული“ ვერონიკა ჩიხლაძე (ფოთი).

წლევანდელი ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ პრეზიდენტი ია კიწმარიშვილი, ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის მოადგილე თამარა მაჭავარიანი, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ წარმომადგენელი გვანცა ასპანიძე, რეჟისორი დავით იმედაშვილი, კიკალასტუდიოს დამფუძნებელი მამუკა კიკალიშვილი, რეჟისორი ლაშა ონიანი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნიის წარმომადგენელი გიორგი მიქელაძე, ტანვარჯიშის ფედერაციის გენერალური მდივანი ფიქრია ფანქველაშვილი და „მის საქართველო 2011“ ჯანეტ ქერდიყოშვილი.

კონკურსანტებისა და ფინალისტების შესარჩევი ტურები „იმიჯ ცენტრის“ მიერ ტრადიციულად მთელ საქართველოში ჩატარდა. კონკურსში „მის საქართველო“მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. მთავარი მოთხოვნები უცვლელი დარჩა — კოკნურსანტი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, არ უნდა იმყოფებოდეს სამოქალაქო ან რელიგიურ (ჯვრისწერა) ქორწინებაში და არ უნდა ჰყავდეს შვილი. „იმიჯ ცენტრმა“ რეგისტრაციაში ის გოგონებიც გაატარა, რომლებმაც გასულ წელს მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილეს და საუკეთესოთა შორის ვერ მოხვდნენ. თბილისში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ქუთაისში, თელავში, ოზურგეთსა და გორში ყველა ის მსურველი გოგონა შეფასდა, ვისაც მის საქართველოს ტიტულისთვის ბრძოლა სურდა. ფინალისტებისთვის კიკალა სტუდიომ პორტფოლიოები დაამზადა, სადაც გოგონებმა კოქტეილის კაბებსა და საცურაო კოსტიუმებში იპოზიორეს. წელს კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ყველა გოგონას ერთნაირი კოსტიუმები ეცვა.

წელს „მის საქართველოს“ ოფიციალური პარტნიორი საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ გახდა. ამ სიახლესთან დაკავშირებით, დიღომში კლუბის საწვრთნელ ბაზაზე სპეციალური ფოტოსესიაც მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა „იმიჯ-ცენტრის“ მოდელებთან ერთად „დინამოს“ ფეხბურთელებმაც მიიღეს. საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის დინამო-კოლხეთის მატჩს, რომელიც თბილისელთა გამარჯვებით, 5:0 დასრულდა, „მის საქართველო 2012“-ის კონკურსანტები დაესწრნენ. როგორც „იმიჯ ცენტრში“ განმარტავენ, ახლო მომავალში „დინამო“ და „მის საქართველო 2012“ რამდენიმე საქველმოქმედო აქციის ჩატარებას ერთობლივად გეგმავენ.

პირველი „მის საქართველოს“ ტიტული ირინა ონაშვილს მიენიჭა. მან საერთაშორისო ასპარეზზეც წარმატებას მიაღწია და „მის ტალანტის“ ტიტული მოიპოვა. სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრი“ მსოფლიოში აღიარებული სილამაზის კონკურსების „მის მსოფლიოს“, „მის უნივერსისა“ და „მის ინტერნეიშენალის“ ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. პირველად საქართველომ 2003 წელს მიიღო მონაწილეობა სილამაზის საერთაშორისო კონკურსში „მის მსოფლიო“, რომელიც ყოველწლიურად იმართება და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ულამაზეს ქალბატონს შორის მხოლოდ ერთს ანიჭებს მის მსოფლიოს ტიტულს.

— კონკურსი „მის საქართველო“ ყოველწლიურად ტარდება და დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს მოსახლეობაში. კონკურსში ჩართულია ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქი და რაიონული ცენტრი. მათ შორის თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, ზუგდიდი, ფოთი ოზურგეთი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი. სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრი“ ყოველ წელს შანსს აძლევს ყველას, ვისაც აქვს სურვილი და პრეტენზია დასახელდეს საუკეთესო გოგონად, მონაწილეობა მიიღოს კონკურსში და გახდეს ამ გრანდიოზული მოვლენის მონაწილე, — აცხადებენ სამოდელო სააგენტოში.

„მის საქართველო 2012“-ს კომპანია „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ ახალ ავტომობილს ტოიოტა რავ 4-ს გადასცემს. სწორედ თამთა შედანია გაემგზავრება სილამაზის საერთაშორისო კონკურსზე „მის სამყარო 2012“, სადაც საქართველოს წარადგენს, ვიცე მისები კი სხვადასხვა საერთაშორისო სილამაზის კონკურსებში მიიღებენ მონაწილეობას.

hჳxცеxჳcბ ,



**შვეულად**: 1. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 2. ამერიკაში გავრცელებული უქოჩრო თუთიყუში; 3. იაპონური მოტოციკლეტი; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ბაღჩეული ხილი; 6. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 10. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 11. ბრიტანეთის ნაწილი; 12. უგემოვნო სანახაობა, წარმოდგენა; 13. ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 16. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 19. ჩეჩნეთის დედაქალაქი; 21. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 24. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

**თარაზულად**: 1. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 3. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. ბელგიური ავიაკომპანია; 9. ფოროვანი მინერალი, სამშენებლო მასალა; 14. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 15. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული აქლემისნაირთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. პერანგის ქართული სახელწოდება; 22. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 23. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 25. სამჭედლო იარაღი; 26. ძვირფასი ლითონი; 27. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 28. ოსური ხაჭაპური.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

**ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჳჯცღჯჳცტ,ბც გფცეკ.ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დეკანი; 2. ტილი; 3. ალგორითმი; 4. ენდრო; 5. ხორშაკი; 8. თექურა; 9. თითლიბაზი; 12. პრაიდი; 14. როსინი; 16. იუანი.

**თარაზულად:** 1. „დეპორტივო“; 6. ფლამინგო; 7. კნეთელი; 9. თაგორი; 10. სოდა; 11. ბურნუთი; 13. ბერნი; 15. გრაალი; 17. სინდისი; 18. ვინიცა; 19. ავანსი; 22. ვიკინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყორე; 2. ილი; 3. სერენადა; 4. კუ; 5. აკაპულკო; 6. ჩეხი; 7. სანდალი; 10. ბონი; 11. ტყვარჩელი; 12. დეკანოზი; 13. ცინი; 16. ოფელია; 18. რიტუალი; 19. ოპიუმი; 21. ჯუნტა; 24. მსაჯი.

**თარაზულად:** 1. ყარსალი; 3. სუძუკი; 8. სკლერა; 9. რაბი; 14. ონისე; 15. სინხუა; 17. კუბა; 20. დურაჯი; 22. კრინი; 23. პანამა; 25. სნო; 26. ლეხი; 27. პუმა; 28. ამპლიტუდა.

## მანანა ბერიკაშვილის საარჩევნო პლაკატები ჩამოხიეს და გადაღებეს



„ქართული ოცნებიდან“ გურჯაანის მჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მანანა ბერიკაშვილის საარჩევნო პლაკატები მასობრივად გაანადგურეს. მანანა ბერიკაშვილის განცხადებით, მის პლაკატებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ანადგურებენ.

„პლაკატების ჩამოხევის და გადაღებვის პროცესს სახელისუფლებო პარტიის აქტივისტები და საჯარო მოსამსახურეები ხელმძღვანელობენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ახალგაზრდები ცემეს. ცემაში მონაწილეობდნენ ოთარ იმერლიშვილი — გურჯაანის გამგეობის თანამშრომელი, გურჯაანის კომუნალური სამსახურის უფროსის დავით აბაზაშვილის შვილი; მიშიკო ღვინიაშვილი („ნაციონალური მოძრაობიდან გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატის გიორგი ღვინიაშვილის ბიძაშვილის შვილი), ჯემალ სეფიაშვილი, თემურ ბუწაშვილი — გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების სპეციალისტი და თორნიკე სიბაშვილი, რომელიც კახეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი სიბაშვილის ძმის შვილი და გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილის გოჩა სიბაშვილის შვილია“, — განაცხადა მანანა ბერიკაშვილმა.

მანანა ბერიკაშვილის საარჩევნო პლაკატების გარდა გურჯაანის რაიონში არცერთი სხვა კანდიდატის სააგიტაციო მასალა დაზიანებული არ არის. „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის გიორგი ღვინიაშვილის საარჩევნო პლაკატები ქალაქის ცენტრში მდებარე საცხოვრებელი სახლების კედლებზეც არის გაკრული.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დღეს წინასაარჩევნო შეკრებას გამართავს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დღეს წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნით ღონისძიებას გამართავს. როგორც „ნიუსპრესს“ მმართველი პარტიის პრესსამსახურში განუცხადეს, წინასაარჩევნო შეკრება ეროვნულ სტადიონზე შედგება.

შეკრებაზე მხარდამჭერებს სიტყვით „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები მიმართავენ და წინასაარჩევნო კამპანიას შეაჯამებენ. ღონისძიებაზე დასასწრებად „ნაციონალური მოძრაობა“ მხრდამჭერებს წინასწარ რეგისტრაციას პარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სთავაზობს. მსურველებს მოსაწვევის მიღება წინასწარი რეგისტრაციის გარეშეც შეუძლიათ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო შეკრება 17:00 საათზე დაიწყება.

**ნიუსპრესი**

## თეატრის კრიტიკოსებმა ქართული სპექტაკლები შეაფასეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფესტივალის ფარგლებში ალექსანდრე ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ წარმოადგინა. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის ქუთაისის მიზნობრივი ჯგუფის 2012 წლის კურსდამთავრებულებმა, მომავალი მესხიშვილებმა და, რა თქმა უნდა, სპექტაკლიც ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელმა გორგი სიხარულიძემ დადგა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა მიხაილ ბულგაკოვის პიესის „ივან ვასილის-ძე“ მიხედვით ფესტივალის სტუმრებს „სიზმრები სინანულისანი“ წარუდგინა. ნაწარმოები ბასა ჯანიკაშვილმა გადმოაქართულა, ხოლო რეჟისურა ოთარ ეგაძეს ეკუთვნის. თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო შიშველმა თეატრმაც. ნანა კვასხვაძემ მაყურებელს „სტუმარი“ წარუდგინა.

თბილისური თეატრების შემდეგ, თეატრების სცენა უკვე საქართველოს რეგიონების თეატრებს დაეთმოთ. სოხუმის თეატრმა ფესტივალის ფარგლებში გოჩა კაპანაძის მიერ განხორციელებული სპექტაკლი „გუშინდელნი?“ წარმოადგინა, რომელიც შალვა დადიანის მიხედვით არის დადგმული. დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები გააერთიანა ცხინვალის თეატრმა და მისი რეჟისურა გოჩა კაპანაძესანდო. „აზნაურები?!“ და ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც ცხინვალის თეატრმა ფესტივალზე გამოიტანა. გორის თეატრმა რუსთაველის თეატრში რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის მიერ დადგმული „სექტემბრის თოვლი“ გაითამაშა. ოზურგეთის თეატრმა ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით განხორციელებული „ნაფტალინი“ წარმოადგინა. მესხეთის თეატრმა თბილისში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ქეთევანი“ ჩამოიტანა. ფოთის თეატრმა ლია მირცხულავას მიერ დადგმული „ფარდის დაშვებამდე“ გაითამაშა. ზუგდიდის თეატრმა ფესტივალისთვის თავისი რეპერტუარიდან „თავისუფლების შუაღამე“ შეარჩია, რომლის რეჟისორი ბადრი წერედიანია.

ქართული თეატრალური პროგრამის დასრულების შემდეგ ფესტივალი უკვე საერთაშორისო პროგრამას დაეთმო. როგორც ფესტივალის ხელმძღვანელი ეკა მაზმიშვილი აცხადებს:

— ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება — ყოველ წელს ფესტივალის ამბავი ცარიელი ფურცლიდან იწყება. აზრი, იდეა, ოცნება, სურვილი ნელნელა ყალიბდება და მატერიალურ სახეს იღებს. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, შეცდომებისა და სირთულეების მიუხედავად, მუზებისა და მათი მსახურების დახმარებით, ცარიელი სივრცე ჯერ არტისტებით, მათი ფანტაზიის ნაყოფითა და მოგვიანებით მაყურებლით ივსება — მათი შეხვედრა კი ფესტივალის ყველაზე სათუთი გვერდია. ის მშვენიერი და განუმეორებელი მომენტი, რომელიც აზრს აძლევს და სიცოცხლეს შთაბერავს ფესტივალს. წელს, 14 სექტემბრიდან ჩვენ უკვე „მეოთხე ამბავს“ გთავაზობთ. „მეოთხე“ ჯერ ძალიან ცოტაა, მაგრამ ვინაიდან ახალგაზრდობა პრივილეგიაა — ფესტივალისთვისაც რისკისა და ძიების ძვირფასი დრო დგას! შემოგვიერთდით ამ მნიშვნელოვან დროს ძვირფასო მაყურებლებო, მსახიობებო, კრიტიკოსებო, ძვირფასო პარტნიორებო — შემოგვიერთდით!

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წელს უკვე მეოთხედ იმართება. ის 14 სექტემბერს დაიწყო, სამი დღის განმავლობაში ქართულ სპექტაკლებს უმასპინძლა და 30 სექტემბერს საერთაშორისო პროგრამის დასკვნითი სპექტაკლით დაიხურება, რომელსაც იაპონური დრამ შოუ წარმოადგენს.

# კემერონმა რუსეთი და ჩინეთი სირიელი ბავშვების ტანჯვაში დაადანაშაულა



ინგლისის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას მსოფლიოს ლიდერებს მოუწოდა, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ სირიაში ბაშარ ასადის „სისხლიანი დანაშაული" შეაჩერონ.

— სირიის მომავალი — ეს ასადის გარეშე მომავალია, — განაცხადა კემერონმა და რუსეთი და ჩინეთი სირიელი ბავშვების ტანჯვაში დაადანაშაულა.

— მათ არაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს დანაშაულები შეეჩერებინათ, ზოგჯერ კი ასადის შექმნილ ტერორისტულ რეჟიმს იცავდნენ და ეხმარებოდნენ კიდეც, — განაცხადა დევიდ კემერონმა.

ტელერადიოკომპანია „ბი-ბი-სის" კორესპონდენტმა ამ განცხადების კომენტირებისას პირდაპირ მიუთითა, რომ ბრიტანეთის პრემიერს მხედველობაში რუსეთი ჰყავდა.

კემერონმა მკაცრად გააკრიტიკა გაერო, რომელმაც სირიის საკითხთან დაკავშირებით ამ დროისათვის ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება ვერ შეძლო, განსაკუთრებით კი ის ქვეყნები, რომელთაც „არაფერი მოიმოქმედეს ამ დანაშაულის შესაჩერებლად და ზოგიერთ შემთხვევაში იცავდნენ და ეხმარებოდნენ კიდეც ასადის რეჟიმს".

გაეროს მონაცემებით, კონფლიქტის შედეგად ამ დროისათვის ქვეყანაში 27 000 ადამიანია დაღუპული.

საკუთარ გამოსვლაში კემერონმა საქველმოქმედო ორგანიზაციის „დაიცავი ბავშვების" მონაცემები მოიყვანა, სადაც საუბარია, რომ სირიის ზოგიერთი სკოლა წამების ცენტრად არის ქცეული და ბავშვებს საწვრთნელი სროლებისას სამიზნედ იყენებენ.

— ამ ბავშვების სისხლი დიდი ლაქაა ორგანიზაციის რეპუტაციისათვის, პირველ რიგში კი მათი, ვინც წინ აღუდგა ამ დანაშაულის შეჩერებას და ზოგიერთ შემთხვევაში ეხმარებოდნენ კიდეც ასადის რეჟიმს, — ხაზი გაუსვა პრემიერმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი ჩინეთთან ერთად ეწინააღმდეგება ნებისმიერ რეზოლუციას, სადაც სირიის წინააღმდეგ სანქციებია გათვალისწინებული.

კიდევ ერთი სკანდალი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს უკავშირდებოდა. ჰილარი კლინტონმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ მოუსმინა რუსული დელეგაციის ხელმძღვანელ სერგეი ლავროვის სიტყვით გამოსვლას და მისი გამოსვლის წინ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ადგა და დარბაზიდან გავიდა — ოფიციალურად მორიგ ორმხრივ შეხვედრაზე. ვინაიდან სხდომის ოქმი ადრევე იყო ცნობილი, კლინტონს შეეძლო, ის ორმხრივი შეხვედრა გადაედო, თუმცა მან ამის გაკეთება და ლავროვის მოსმენა არ ისურვა და დარბაზიდან გავიდა.

# ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ამირან ციცქიშვილისა და ავთანდილ მაღლაკელიძის ოჯახები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ედიშერ ილიას ძე მაღლაკელიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.

## გიული თევზაძის მონატრება



საბედისწერო იყო შენთვისაც და ჩვენთვისაც 20 აგვისტო — შენი დასასრულის დღე.

შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით დატვირთულს, სიცოცხლე გიხაროდა... ირაკლის ბედნიერებაზე ოცნებობდი... მაგრამ არავინ იცის, სად არის ჩასაფრებული სიკვდილი, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება.

ჩემო გიული! ძალიან მენატრები და მაკლიხარ. ჩვენ ხომ ცხოვრების საუკეთესო წლები გვაკავშირებდა ერთმანეთთან...

40 დღეა, რაც ნათელი ადგას იმ სევდიან ბორცვს, გიული თევზაძის სასაფლაოდ რომ მონათლულა...

სად გიგულოს შენმა ერთადერთმა შვილმა ლალიმ... შენმა საყვარელმა სიძემ დათომ... რით ვანუგეშოთ!

40 დღეა, სანთლებით ხელში მუხლმოდრეკილნი შემოსცქერიან შენს მოღიმარ ფოტოსურათს შენი საფიცარი შვილიშვილები თიკო, ნათია და ირაკლი.

40 დღე შენს შემოღიმებას ელოდებიან შენი შვილთაშვილები მარიამი, საბა და დემეტრე.

შენ კი, სასუფეველში მიმავალმა, არა უწყი რა, არც მათი და არც ტკივილისაგან დაღდასმული დის — ლიას მწუხარებისა...

სამყარო კი უშენოდ მიქრის.

ჩვენ კი, შენი მეგობრები და ახლობლები, რომლებსაც არასდროს დაგვავიწყდები, დღეს მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს, რათა მშვიდად იძინო წმინდა საფლავში.

*ციური მჟავია*

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბპბც უფკლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# უმძიმესი დღე სირიაში



ოპოზიციური ჯგუფების ცნობით, 26 სექტემბერს ქვეყნის მასშტაბით 343 ადამიანი დაიღუპა. 2011 წლის მარტიდან მოყოლებული, ამ დღეს ქვეყანაში ყველაზე მეტი ადამიანი დაიღუპა. 330 ადამიანი დაიღუპა ქვეყანაში ამ წლის 25 აგვისტოს.

ოპოზიციური ჯგუფები აცხადებენ, რომ ქვეყანაში არსებულ კონფლიქტს ამ დროისათვის 30 000 ადამიანი ემსხვერპლა.

ამ ფონზე, სირიაში ძალადობის ესკალაციის გამო, ჰუმანიტარული დახმარების შეჩერება მოხდა.

— ეს სამოქალაქო ომია, რაც დახმარების განაწილებას ძალიან რთულს ხდის, — განაცხადა ევროკავშირის დახმარების კომისარმა კრისტალინა გეორგიევამ.

ევროკავშირის გათვლით, ამ დროისათვის ჰუმანიტარული დახმარება 2,5 მილიონ სირიელს სჭირდება.

# ნორვეგიულმა ოჯახმა ეროვნულ ლატარიაში მესამედ მოიგო



ერთმა ნორვეგიულმა ოჯახმა მესამედ მოიგო ეროვნულ ლატარიაში. ბოლო 6 წლის განმავლობაში ტორდ ოკსნესმა, მისმა დამ ჰეიგ ჟანეტმა და მამამ ლიფმა მთლიანობაში 4 მილიონ აშშ დოლარამდე მოიგეს.

მათი თქმით, მომგებიანი ბილეთის შეძენა მათ ყოველთვის იმ დროს შეძლეს, როდესაც ჰეიგ ჟანეტი ან ორსულად ან ახალი ნამშობიარები იყო.

ჟანეტის განცხადებით, მათ ჰყავთ სამი ძმა, რომლებიც ადრე არც კი აპირებდნენ ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მათ შეამჩნიეს გარკვეული კანონზომიერება — მოგება შესაძლებელია ჰეიგ ჟანეტის ორსულობის დროს, ისინი საკუთარ დას მოუწოდებენ, კიდევ მინიმუმ 7 შვილი გააჩინოს.

# ასანჟი ამერიკას დევნის შეწყვეტას სთხოვს



სკანდალურ ვებგვერდ „ვიკლიქსის" დამაარსებელი ჯულიან ასანჟი ამერიკას სთხოვს, მისი ვებგვერდისა და მხარდამჭერების წინააღმდეგ ყველანაირი ქმედება შეწყვიტოს.

— დროა, ამერიკამ „ვიკილიქსისა" და მასთან დაკავშირებული ხალხის დევნა შეწყვიტოს", — განაცხადა ლონდონში ეკვადორის საელჩოში მყოფმა ასანჟმა, სადაც ამა წლის ივნისის შემდეგ იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ ეკვადორმა ასანჟს თავშესაფარი აგვისტოში მისცა, თუმცა, როდესაც ასანჟი ბრიტანეთში საელჩოს დატოვებს, მას დაპატიმრება ემუქრება.

ჯულიან ასანჟი ავსტრალიელი ჟურნალისტი და პუბლიცისტია. ის ფართოდაა ცნობილი, როგორც ინტერნეტსაიტ „ვიკილიქსის" შემქმნელი. ეს საიტი აქვეყნებს დოკუმენტურად დადასტურებულ მასალებს, რომლებიც საიდუმლო სამსახურების არქივებიდან აქვს მიღებული.

# მარკ ცუკერბერგი მოსკოვში ვიზიტისას დიმიტრი მედვედევს შეხვდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ში მარკს ანალოგიური საიტის შექმნის თხოვნით მიმართეს სტენფორდის, კოლუმბიისა და იელის უნივერსიტეტებიდან.

ცუკერბერგმა გადაწყვიტა, დასახმარებლად მიემართა თავისი მეგობრის დასტინ მოსკოვიჩისთვის, რომელთანაც ჰარვარდში ერთ ოთახში ცხოვრობდა.

ძალიან მალე მისი შექმნილი საიტი იმდენად პოპულარული გახდა, რომ გადაწყვიტა, თავისი პროდუქტისგან ბიზნესი წამოეწყო. მარკმა თავისი ბიზნესის განვითარებისათვის მთელი დანაზოგი დახარჯა და როცა მიხვდა, რომ დამატებით დაფინანსება სჭირდებოდა, სწავლა მიატოვა და რამდენიმე მეგობართან ერთად გაემგზავრა კალიფორნიაში, პალო ალტოში, ინოვაციური კომპანიების სამშობლოში. მათ იჯარით აიღეს პატარა სახლი, რომელიც ოფისად გამოიყენეს. 2004 წლის ზაფხულის მიწურულს ცუკერბერგმა გაიცნო ანგარიშსწორების სისტემის ერთ-ერთი დამაარსებელი პიტერ ტილი, რომელმაც მოლაპარაკებიდან ოთხი საათის შემდეგ ცუკერბერგის კომპანიაში ნახევარმილიონიანი ინვესტიცია განახორციელა. ეს არ იყო დიდი ინვესტიცია, მაგრამ ცუკერბერგმა მისი გონივრულად გამოყენება მოახერხა და ფეისბუქი გააფართოვა. მან პალო-ალტოში ოფისი დაიქირავა და გარს რამდენიმე თანამოაზრე შემოიკრიბა.

ცუკერბერგი აპირებდა ჰარვარდში დაბრუნებას, რადგან თავდაპირველად საქმე წარმატებით არ მიდიოდა, მაგრამ საბოლოოდ მან გადაწყვიტა კალიფორნიაში დარჩენა და დღემდე არ დაბრუნებულა ჰარვარდში, როგორც სტუდენტი.

2004 წლის ნოემბერში ფეისბუქის მომხმარებელთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა. ცოტა ხანში ისევ პიტერ ტილის დახმარებით ცუკერბერგმა 12,7 მილიონის ინვესტიცია მიიღო.

2005 წლის შემოდგომაზე ფეისბუქით უკვე 5 მილიონი ადამიანი აქტიურად სარგებლობდა და იგი ინტერნეტ-სივრცის ერთ-ერთი ლიდერი იყო. აღსანიშნავია, რომ მარკი ძალიან გონივრულად მოიქცა, როცა „გუგლიდან" გამოცდილი მენეჯერი შერილ სენდბერგი მოიწვია, რომელსაც ინტერნეტბიზნესში სერიოზული გამოცდილება გააჩნდა. 2006 წელს ფეისბუქმა სერიოზული ნოვაცია დანერგა. კომპანიის მიერ გაიხსნა სერვისი პროფესიული საზოგადოებისთვის და ცუკერბერგის პირველი კლიენტები „მაკდონალდსი" და „მთავარი სადაზვერვო სამმართველო" გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს მარკ ცუკერბერგმა სცადა გაეყიდა თავისი საიტი. კომპანია იაჰუუ ერთ მილიარდ დოლარს სთავაზობდა მარკს, მაგრამ ბოლო მომენტში მან ეს გადაწყვეტილება არ მიიღო. კომპანიის შტაბბინა დღესაც პალო-ალტოშია განთავსებული, ხოლო ფილიალები — მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ნიუ იორკში, ლონდონში, მოსკოვში, ტოკიოში.

25 წლის ბიზნესმენი მარკ ცუკერბერგი ფეისბუქის წყალობით მილიარდერი გახდა. იგი ამ კომპანიის საკონტროლო პაკეტის 27 პროცენტს ფლობს. რაც შეეხება მისი კომპანიის, ფეისბუქ ინსის ღირებულებას, ზუსტი შეფასება რთულია, რადგან მარკი არ ჩქარობს მისი კომპანიის აქციების გამოშვებასა და ბირჟაზე გამოტანას.

აშშ-ში 2010 წლის 15 ოქტომბერს მარკ ცუკერბერგსა და ფეისბუქის შექმნაზე გამოვიდა ფილმი „სოციალური ქსელი", რომელშიც მთავარ როლს ენდრიუ გარფილდი და ჯესი ეიზენბერგი თამაშობენ. ფილმი არის კომედიური დრამის ჟანრში და ეკუთვნის „კოლამბია ფიქჩერზს". ფილმის ბიუჯეტი შეადგენს 47 მილიონ დოლარს.

ცუკერბერგი დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე პრისცილა ჩანი.

# მუჰამედის კარიკატურას ესპანური ჟურნალიც აქვეყნებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ერთ-ერთ ტელეარხზე განაცხადა, რომ კარიკატურა შოკისმომგვრელი იქნება იმათთვის, ვისაც უნდა, რომ იყოს გაოგნებული იმ გაზეთის კითხვისას, რომელსაც არასოდეს კითხულობს.

მისივე თქმით, კარიკატურები მუჰამედზე მხოლოდ საბაბია იმათთვის, ვისაც საბაბი სჭირდება.

მას შემდეგ, რაც ფრანგულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია „შარლი ებდოში" კარიკატურების დაბეჭდვის შესახებ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟანმარკ ეირომ გამოსცა სპეციალური კომუნიკე, რომელშიც ყველას პასუხისმგებლობისკენ მოუწოდა. კარიკატურების გამოქვეყნება იმ პირობებში, როდესაც მთელ მსოფლიოში არ ცხრება ვნებათაღელვა სკანდალური ფილმის გამო, არსებულ ვითარებას, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაამწვავებს.

2011 წლის ნოემბერში ჟურნალის მიერ მუჰამედის კარიკატურის გამოქვეყნებას რედაქციის ოფისზე თავდასხმა მოჰყვა.

## TV პროგრამა

**პარასკევი 28 სექტემბერი**

**საზოგადოებრივი არხი 07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ. ფ. "ბარბი". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.00** მოამბე **09.10** ან.ფ. "ეგვიპტის უფლისწული". **10.30** მხ.ფ.**"მერლინის შეგირდი"**. **12.45** ტოქ-შოუ არენა. **14.00** ჩვენი ეზო. **15.00** სერ. **"დეტექტივი" 17.00** ავტოპილოტი. **18.00** პეპე და მეგობრები. **19.05** სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად" 21.00** ქართული დოკუმენტალისტიკა. **22.00** მხ.ფ. **"სასიკვდილო იარაღი 4"** (მ. გიბსონი) **00.00** წითელი ზონა. **01.00** მხ.ფ. **"მეტი ვიდრე ცხოვრება" 03.20** მხ.ფ. **"ჯოკონდა მოიპარეს"**. **05.20** დოკ.ფ. "მსოფლიო ქალაქებით".

**მეორე არხი 08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.55** დოკ.ფ. "არჩევნების დღე". **14.00, 16.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **02.30** მხ. ფ. **"ძარცვა იტალიურად"**

**იმედი 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.20, 05.00** ქრონიკა. **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა. **10.05** სერ. **"იღბლიანი მოახლე" 11.30** ქრონიკა **+11.50** სერ. **"უკვდავი ამბავი" 12.30** დღის შოუ. **14.40** ინტუიცია. **15.40** სერ. **"მოჯადოებული" 17.40** სერ. **"მეწამული ცა" 18.40** სერ. **"შურისძიების სახელით" 21.00** სერ. **"მემკვიდრეები" 22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან" 23.00** ცეკვავენ ვარსკვლავები. **01.00** რომ გადახვალ გააჩერე. **01.50** მხ.ფ. **"შურისძიება"** (კ. კოსტნერი) **03.50** მხ.ფ. **"დამალული სიმართლე"** (მ. პფაიფერი). **06.15** მუსიკა.

**რუსთავი 2 07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"**. **11.00** სერ.**"ეჭვი და სიყვარული"**. **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუა დღე. **17.00** სერ. **"ტერეზა" 18.45** სერ. **"მგზნებარე გული" 19.50** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 3-სერ. **21.50** ეროვნული ლატარეა. **22.00** ვანოს შოუ. **01.00** პატრული. **01.30** მხ.ფ. (ტიტ.) **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**მზე 08.00** ან. ფ. "არგაი". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.15** სერ. **"შტრაუსების დინასტია" 13.00** მხ.ფ. **15.15** მხ.ფ. **17.10** სერ. **"ვერონიკა მარსი" 18.00** მხ. ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00 "105** წუთი" ლაშა დვალიშვილთან ერთად **23.50** მხ.ფ. **01.35** მხ.ფ.

**აჭარა 08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** დოკ. ფ. **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი **"საბა" 13.00** სამედ. გად. "იმპულსი" **13.30, 19.35** სერიალი **15.15** დოკ. ფ. **16.00** დოკ. ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.30** ანონსი. **23.00** მხ. ფ. **"რა მშვენიერი ხარ" 00.30** მხ. ფ. **"დუბლიორი"**

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი. **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35** ლექსით ქებათა ქება. **10.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფ. **"ივანე კოტორაშვილის ამბავი"**. **13.20** კონცერტი. **15.05, 18.53, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10, 00.35** განთიადის სტუმარი. **15.35** დოკ. ფ. "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". **16.00** დები ტრევისის საოცარი სახლი. **16.25** დოკ. ფ. "ველური ბუნება". **16.50** მხ. ფ. **"ჩემი ბებია"**. **18.05** პატრიარქის კადაგება. **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.20** დიდ ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** მხ. ფ. **"მეტიჩარა"**. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის კადაგება. **21.25** ლუქსით ქებათა ქება. **21.30** მოგზაურობა სამშობლოში. **22.30** ჩვენი ფონდი. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** ჟურნალისტის დღიური". **01.00** კვირიაკე.

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 seqtemberi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6461
ევრო —2,1261
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779
რუსული რუბლი — 0,0512

**ამინდის პროგნოზი 28 სექტემბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 24-27, ღამით — 10-18

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 26-30, ღამით — 14-19

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 20-22, ღამით — 6-10




# 24 seqtembridan
# ახალ თაობასთან“
## ერთად
# უნიკალური გამოცემა
# cfmfhsdtkjcbcnjhbf
# ერთ წიგნად/

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.

## ზიდანის თავურს ძეგლი დაუდგეს



ყველას კარგად ემახსოვრება 2006 წლის 9 ივლისი, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ზინედინ ზიდანმა თავისი უკვე საქვეყნოდ ცნობილი თავური გამოიყენა.

ამ ფაქტის გამო, პარიზში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის წინ ორიგინალური კომპოზიცია გაჩნდა, რომელზეც გამოსახულია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის ის ეპიზოდი, როცა საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი იტალიელ მარკო მატერაცის მკერდში თავს ურტყამს.

როგორც შემდეგ გაირკვა, ფინალურ მატჩში მატერაციმ ზიდანს, ვისთვისაც ეს საფეხბურთო კარიერის უკანასკნელი თამაში იყო, შეურაცხმყოფელი სიტყვები უთხრა, რის პასუხადაც ფრანგმა მას მკერდში თავი აძგერა. შედეგად, ზიდანი მოედნიდან გააძევეს, ხოლო „სკუადრა აძურა“ მატჩის შემდგომი თერთმეტმეტრიანების სერიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

მიუხედავად ამ ინციდენტისა, ზიდანი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

მ. ჟ.




## მარკ ცუკერბერგი მოსკოვში ვიზიტისას დიმიტრი მედვედევს შეხვდება

ფეისბუქის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი რუსეთში ვიზიტს გეგმავს. ცნობილი მილიარდერის ვიზიტი მოსკოვში პირველი ოქტომბრისთვის იგეგმება.

უკვე დაგეგმილია ცუკერბერგის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან.

ცუკერბერგი ხშირად აღნიშნავს, რომ რუსეთი სოციალური ქსელის გაფართოებისთვის საინტერესო ბაზარია. ცუკერბერგის ვიზიტის დეტალები და პროგრამა ამ დროისთვის არ გამოქვეყნებულა.

აღსანიშნავია, რომ თავად დიმიტრი მედვედევი სოციალური ქსელების ინტენსიური მომხმარებელია, მას ტვიტერსა და ფეისბუქზე საკუთარი გვერდი აქვს.

რაც შეეხება მარკ ცუკერბერგს, ფორბსის მონაცემებით, ის 4 მილიარდის მფლობელია. ცუკერბერგმა ფეისბუქი შექმნა თანაკურსელებთან ერთად ჰარვარდში სწავლის პერიოდში. ესენი იყვნენ: დასტინ მოსკოვიჩი, ედუარდ სევერინი და კრის ჰაგისი.

ცუკერბერგი დაიბადა უაით ფლეინსში, ნიუ იორკის შტატში, ებრაელების ოჯახში 1984 წელს. მან პროგრამირება დაიწყო, როცა საშუალო სკოლის მოსწავლე იყო. თავდაპირველად იტაცებდა კომპიუტერული პროგრამების განვითარება. მეცხრეკლასელმა იმ დროისათვის პოპულარული სამაგიდო თამაშის „რისკის“ კომპიუტერული ვარიანტი შექმნა, აგრეთვე სკოლის ასაკში დაწერა პროგრამა ემპეტრი-პლეიერ უაინემპი, რომელსაც მომხმარებლის მუსიკალური გემოვნების გაანალიზება შეეძლო. როცა ეს პროგრამა ინტერნეტში გამოჩნდა, მაიკროსოფტი მზად იყო, მის სანაცვლოდ 2 მილიონი დოლარი გადაეხადა და ახალგაზრდა ცუკერბერგი თავიანთ კომპანიაში მიეწვიათ, მაგრამ მარკმა უარი განაცხადა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაბარება გადაწყვიტა.

ცუკერბერგმა თავისი პროდუქტი ფეისბუქი მსოფლიო ქსელში გაუშვა 2004 წლის 4 თებერვალს ჰარვარდის ერთი პატარა ოთახიდან. მარკს ამ საიტის შექმნის იდეა მას შემდეგ დაებადა, რაც იხილა ტრადიცია, რომელსაც სხვა სასწავლებლებშიც იყენებდნენ. ყოველწლიურად ქვეყნდებოდა სახელმძღვანელო, სადაც მოცემული იყო სტუდენტების მონაცემები და ფოტო. ამ სახელმძღვანელოს პირწიგნაკი ერქვა, საიდანაც შემდგომში მისმა შექმნილმა სოციალურმა საიტმა მიიღო სახელწოდება ფეისბუქი.

პირველი პირწიგნაკი მან ჰარვარდის უნივერსიტეტისთვის შექმნა, რისთვისაც უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზა გატეხა და ამის გამო მისი უნივერსიტეტიდან გარიცხვის საკითხიც დადგა, მაგრამ ჰარვარდის სტუდენტების მოთხოვნით მარკმა ისევ აღადგინა ეს სერვისი და ცოტა ხანში თითქმის სტუდენტების ნახევარი დარეგისტრირდა; მათ ამ საიტზე ჯგუფების თვითორგანიზებაც შეეძლოთ და თანდათან ეს საიტი პოპულარული ხდებოდა სტუდენტებში. რამდენიმე თვე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## მუჰამედის კარიკატურას ესპანური ჟურნალიც აქვეყნებს




ესპანურმა სატირულმა ჟურნალმა „ელ ჯავესმა“ წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურა გამოაქვეყნა. რედაქციის განცხადებით, აღნიშნული ფრანგი კოლეგებისადმი სოლიდარობის ნიშნად გააკეთეს.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ფრანგულმა გამოცემა „შარლი ებდომ“ კიდევ ერთხელ დაბეჭდა საკუთარ გამოცემაში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურა.

ჟურნალის პირველ გვერდზე გამოსახულია მუსლიმანი ინვალიდის ეტლში, რომელიც წარმოთქვამს ფრაზას „არაფერია სასაცილო“. ილუსტრაცია დასათაურებულია — „ხელშეუხებელნი 2“ და წარმოადგენს პოპულარული ფრანგული ფილმის „ხელშეუხებელნის“ პაროდიას.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## .ღცაფვ უფბსღფჯაბცობყცს=

fcnhjkjuhjuyjpb

@* სცმნცვ,ჰბცსღბც

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** — არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** — რომანტიკული თავგადასავალი თავბრუს დაგახვევთ, ეს დიდხანს გაგრძელდება. **ლომი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ქალწული** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — კითხვა გაწუხებთ, პასუხს მალე მიიღებთ. **ღრიანკალი** — სიტუაცია დასტაბილურდა, საქმე კარგად წავა. **მშვილდოსანი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **თხის რქა** — ყურადღების ცენტრში ხართ, ეს გახარებთ. **მერწყული** — დატკბით ცხოვრებით, არ იდარდოთ. **თევზები** — პრობლემას ადვილად გადაჭრით, ამაში მეგობრები გეხმარებიან.

უბცეჰღც,ს ,ცლყბცჰ ლქცს=

## hჰxცღxჰლბ ფ

**შვეულად**: 1. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. ფულის საერთაშორისო ერთეული; 3. ცრუ დაპირებებით მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 8. ვულკანი იტალიაში; 9. მეცნიერება საარტილერიო და რეაქტიული ჭურვების მოძრაობის შესახებ; 12. დიდი სარეკლამო სტენდი; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. ჯეიმს ჯოისის რომანი.

**თარაზულად**: 1. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 10. ცარიელი, თაფლგამოცლილი ფიჭა; 11. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. მომწამლავი ნივთიერება; 15. პოპულარული პლაჟი ლოს-ანჟელესში; 17. უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი არმიაში; 18. ფრანგი კინორეჟისორი; 19. ფულადი ჯილდო; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

